# გილოცავთ ნათლისღებას!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## მსოფლიოს ყველაზე ლოთ ქვეყნებს შორის საქართველო 66-ე ადგილზეა



გვ.3

19 იანვრიდან

ნიკო ლომოური

ქაჯანა



ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ხუთშაბათი, 19 იანვარი, 2017 | №15 (7250) | ფასი: 50 თეთრი

# „ბოკერია ივანიშვილს 2015 წელს გაურიგდა“

გვ.3





## რას ითხოვდა აშშ-ის ელჩი ირაკლი ღარიბაშვილისგან

„პირველი აქცია გივი თარგამაძის სახლთან გავმართეთ, მერე გიგა ბოკერიას მივაკითხეთ. ჩვენი მესამე სამიზნე გია ბარამიძე იყო, რომლის სახლამდეც ველარ მივაღწიეთ – ჩემს ტელეფონზე ატყდა რეკვა. ხელისუფლების წარმომადგენლები ღიად მეუბნებოდნენ, ბოკერიასთან მისვლა როგორ გაბედეო“





## თინა ბოკუჩავა: „ივანიშვილის ალტერნატივა ნაციონალები ვართ“

გვ.3

## კახა კალაძე: „გაზპრომთან ენერგოდამოუკიდებლობა არ დაგვიკარგავს“

გვ.4



რატომ აიღეს კალაძის მოადგილეებმა 16.500 ლარის პრემია-დანამატი

ISSN 1987-9385

დიმიტრი ბიძინაშვილი: „გაზპრომთან ჩაგდებული ხელშეკრულების შემდეგ მათ პრემია არ უნდა აეღოთ“



## მამუკა არეშიძე: „უგულავას გაუჭირდება იმიჯის გამოსწორება“

გვ.2

„მერაბიშვილი ბოკერიას ფრთისკენ იხრება“



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მამუკა არეშიძე: „უგულავას გაუჭირდება იმიჯის გამოსწორება“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი მამუკა არეშიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, ენდიაის კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა 40%-თვის მისაღები პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნებაა“, მხოლოდ 10%-ს მოსწონს ნაციონალური მოძრაობა. როდესაც კვლევა ჩატარდა, ნაციონალური მოძრაობა ჯერ კიდევ ერთიანი იყო. რა ხდება პოლიტიკურ ველზე და ჰყავს თუ არა „ქართულ ოცნებას“ რეალური ოპოზიცია?***

– არჩევნების შემდეგ პროცესები ძალიან აქტიურად განვითარდა. დღეს მთელ ოპოზიციურ სპექტრში მიმდინარეობს ფართო რეორგანიზაციის პროცესი. ეს ეხება პრაქტიკულად ყველას. ზოგიერთის რეორგანიზაცია არჩევნების შედეგებიდან იყო გამომდინარე, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში არა მხოლოდ არჩევნების შედეგებიდან იყო, არამედ იმ წინააღმდეგობებიდან, რომლებიც პარტიის შიგნით წარმოიშვა.

***– კონკრეტულად რომელ პარტიებზე საუბრობთ?***

– ასეთები იყო მაგალითად: გაერთიანებულ დემოკრატებში, რესპუბლიკურ პარტიაში და საბოლოო ჯამში, ყველაზე უკეთ გამოჩნდა ეს პროცესი ნაციონალურ მოძრაობაში. რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, არსებობს თუ არა ოპოზიცია, რასაკვირველია, ოპოზიცია არსებობს, ოღონდ ის არის რეორგანიზაციის პროცესში.

***– როდის დასრულდება ეს რეორგანიზაცია და შეძლებენ თუ არა ძლიერ ოპოზიციად ჩამოყალიბებას?***

– ორ-სამ თვეში ისინი რამდენად ძლიერ ოპოზიციად ჩამოყალიბდებიან, ეს რთული სათქმელია, რადგან დაშლისკენ მიმართული პროცესი ყოველთვის დასუსტებას ნიშნავს. დიდი დრო დასჭირდებათ იმისთვის, რომ გონს მოეგონ და ორგანიზაციული ფორმა მიიღონ.

***– ამ ფონზე რამდენად საშიში ხდება ხელისუფლება, როდესაც ის ოპონენტის გარეშეა დარჩენილი?***

– რასაკვირველია, ხელისუფლება ოპოზიციური პოლიტიკური კონტროლის მიღმაა დარჩენილი, მაგრამ ეს ფუნქცია თავის თავზე საზოგადოებამ უნდა აიღოს. თუნდაც იმ დროის განმავლობაში, ვიდრე ეს ოპოზიციური სპექტრი დალაგდებოდეს და შეიქმნებოდეს. საზოგადოების გააქტიურებას ასევე ხელს უწყობს ის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც დღეს ქვეყანაშია შექმნილი.

***– ხელისუფლება ახალ ეკონომიკურ კურსს გვთავაზობს, იმუშავებს?***

– ამას დრო გვაჩვენებს.

***– უკმაყოფილება საკმაოდ მაღალია.***

– დიახ, მაღალია. აქედან გამომდინარე, საზოგადოებას აქვს საშუალება, კონსოლიდირებული თვალსაზრისით, გააზრებული, ჩამოყალიბებული საყვედური უთხრას ხელისუფლებას და ხელისუფლებასთან შევიდეს დებატებში. ყოველ შემთხვევაში იმ დროის მონაკვეთში, ვიდრე ოპოზიციური სპექტრი დალაგდებოდეს.





„მერაბიშვილი ბოკერიას ფრთისკენ იხრება“

***– დიდხანს გაგრძელდება ეს გაურკვევლობა პოლიტიკურ ველზე?***

– რთულია ამის თქმა. ჯერჯერობით რეორგანიზაციის ფინალი რესპუბლიკური პარტიის გარშემო არ ჩანს, როგორი ტემპით მიმდინარეობს. რაც შეეხება თავისუფალ დემოკრატებს, იქ პარტიიდან წასვლა დამთავრებულია, მაგრამ ახალი პარტიის ჩამოყალიბების კონტურები ჯერ არ ჩანს. ნაციონალურ მოძრაობაში 20 იანვრის შემდეგ უკეთ გამოიკვეთება, რა და როგორ გადალაგდება.

***– ექსპერტებისგან ასეთი შეფასებებიც მოვისმინეთ, რომ ტყუილად უხარია „ოცნებას“ ნაციონალების დაშლა, რადგან ისინი კი არ დაიშალნენ, გაიშალნენ. ამაზე რას იტყვით?***

– ეს არ არის სწორი შეფასება. როგორც ჩანს, ეს იმ ექსპერტების ნააზრევია, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობას კულუარულად უჭერდნენ მხარს. პარტია, რომელიც იშლება, ის გაშლას არ გულისხმობს. ვნახეთ ჩვენ უკვე გაშლილები ცალკე გირჩების და ცალკე ვაშაძის სახით. ამან არაფერი შემატა მათ იდეოლოგიას. ახლა, მით უმეტეს, კიდევ უფრო დაქუცმაცდა ნაციონალური მოძრაობა.

***– ხდება ის, რაც თავის დროზე მოხდა მოქალაქეთა კავშირშიო. თქვენ რამდენად ავლებთ პარალელს?***

– მოქალაქეთა კავშირის შიდა ბრძოლებმა ზუსტად გამოიწვიეს საბოლოო ჯამში ის კრახი, რომელიც 2003 წელს მოხდა. ყოველთვის ასეა და არაფერი გაშლა არ ხდება დღეს ნაციონალურ მოძრაობაში. ეს არის კლასიკური დაშლა და დაშლას თან ახლავს დისკრედიტაცია საზოგადოების თვალში! ასევე იმედგაცრუება კონკრეტული პარტიის და კონკრეტული პოლიტიკოსების მიმართ. აქედან გამომდინარე, ნაციონალური მოძრაობის ხვალინდელი დღე, ამ დაშლის ნაწილების გათვალისწინებით, ძალიან საეჭვოდ მეჩვენება.

***– პოლიტიკური ოპოზიციური ველი თავისუფალია და ველით ახალ ძალას?***

– პირად მე არაფერსაც არ ველი. ძლიერი ოპოზიციური ველია თავისუფალი, თორემ ზოგადად ოპოზიციური ველი არსებობს. რასაც ჰქვია ნომერი ორი პოლიტიკური ძალა, ეს ნიშა დღეს თავისუფალია.



***– დიდია ბიძინა ივანიშვილის როლი ნაცმოძრაობის დაშლაში და შესაძლოა გიგი უგულავა იქცეს ახალ ოპოზიციონერ ლიდერად, რომელიც ხელოვნურად იქნება შექმნილი. ამაზე რას იტყვით?***

– შეიძლება ეს ასე ეჩვენებოდეს ვინმეს, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ხელი ურევია თუ არა ამ საქმეში, ეს რთული სათქმელია, რადგან წინააღმდეგობა ნაციონალურ მოძრაობაში ბიძინა ივანიშვილის გარეშეც არსებობდა. თუმცა ეს შექმნილი წინააღმდეგობა, რომელიც ამ პარტიის შიგნით არსებობდა, რომ არ გამოეყენებინა „ქართულ ოცნებას“ და შესაბამისად ბიძინა ივანიშვილს, იქნებოდა დიდი სისულელე.

***– ვანო მერაბიშვილის გადაწყვეტილებას ბევრი ელოდება. რატომ ინარჩუნებს ამ დრომდე დუმილს?***

– იგრძნობა, რომ ის უფრო იხრება ბოკერიას ფრთისკენ. თუმცა არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ ვანო მერაბიშვილი ვაჭრობს ყველა მხარესთან. მას თავისი თავი მართლა სერიოზულ ფიგურად წარმოუდგენია. რასაკვირველია, მას გარკვეული გავლენები აქვს ყოფილ ძალოვნებში და ციხიდან გამოსვლის შემდეგ მის გარშემო გარკვეული გუნდი ნამდვილად შეიკრიბება.

***– ხელისუფლებასთანაც ხომ არ ვაჭრობს, რომ გარეთ გამოვიდეს?***

– არც მაგას გამოვრიცხავ. პოლიტიკა ხომ ვაჭრობის ხელოვნებაა. რაც შეეხება იმას, რამდენად სწორი იქნება მისი გამოშვება, მე არ მომწონს, რომ დამნაშავეები გარეთ გამოდიან! განსაკუთრებით ისეთი ტიპის დამნაშავეები, რომლებსაც არა მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაული აქვთ ჩადენილი, არამედ უზარმაზარი მორალური დანაშაული აქვთ ქართველი ერის წინაშე! არ მომწონს, მაგრამ არსებობს პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხი. ეტყობა, მავანი პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან ამოდის.

***– ეს ყველაფერი მავანს ცუდად ხომ არ შეუბრუნდება?***

– ჯერჯერობით ეს მავანი გამარჯვებული გამოდის ასეთი ტიპის ბრძოლებში. მე მარტო ბიძინა ივანიშვილს არ ვგულისხმობ მავანში და თუ თქვენ გულისხმობთ, აქვე გეტყვით, რომ ივანიშვილს ახასიათებს თავის კონკრეტულ მოწინააღმდეგესთან გამარჯვებები. ის ყოველთვის ნაბიჯ-ნაბიჯ და თანმიმდევრულად ცდილობს მოწინააღმდეგის დამარცხებას. ის ყოველთვის აღწევს შედეგს, ემოციების და მკერდზე მუშტის ბრაგუნის გარეშე. ეს მისი ხელწერაა როგორც ბიზნესში, ისე პოლიტიკაშიც.

***– ანუ, თუ უგულავამ ციხეს თავი დააღწია, ეს არ ნიშნავს, რომ მან გაიმარჯვა?***

– რასაკვირველია. უგულავა მართალია კარგი ორატორია, მან ისე მოაწყო, რომ უბრალო ხალხს შესთავაზა თავისი თავი, როგორც ნაწილობრივ გადაცდომაში მყოფმა ადამიანმა, რომელსაც შეუძლია, ქვეყანა გადაარჩინოს. მაგრამ ხალხმა ეს არ დაიჯერა.

ყველას კარგად ახსოვს უგულავას პერიოდი. უგულავას დასჭირდება ძალიან სერიოზული ძალისხმევა იმისთვის, რომ თავისი იმიჯი გამოასწოროს. მან უკვე დაუშვა შეცდომა, როდესაც ნაწილობრივ აღიარა დანაშაული. უგულავას სხვა ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომლებზეც პროკურატურა ჯერჯერობით არ საუბრობს. თუმცა ეს ყველაფერი დამოკლეს მახვილივით ჰკიდია უგულავას კისერზე და ეს მან ძალიან კარგად იცის.

***– ანუ უგულავას ზედმეტი მოძრაობის საშუალებას არ მისცემენ?***

– რასაკვირველია, არავინ მისცემს და ეს თავადაც მშვენივრად იცის. ამდენი დახურული ტენდერი, პარტიაში გადაქაჩული ფული. დღეს უგულავა სასამართლო პროცესების ხიბლის ტყვეობაშია. მისი საქმის გარკვეული ნაწილი ჯერ დამთავრებული არ არის. ის ამ სიტუაციიდან გამარჯვებული არ გამოსულა და ვერც გამოვა.

# სომხური პრესა: თურქეთმა ქართული ბიზნესი დაიპყრო

**სომხური გამოცემის მიერ გამოქვეყნებული სარედაქციო სტატია ეხება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში თურქული გავლენის გაძლიერების ტენდენციას, რომელიც სულ უფრო მზარდ ეკონომიკურ და რელიგიურ ექსპანსიაში გამოიხატება.**

ამის დამადასტურებლად პუბლიკაციაში მითითებულია ბათუმში თურქეთის გენკონსულის იასინ თემიზგანის განცხადება, რომლის თანახმად, აჭარაში 400-მდე თურქული კომპანია მუშაობს. მისი თქმით, თურქი ინვესტორები აქტიურად აბანდებენ თავიანთ კაპიტალს არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც.

რედაქცია, თავის მხრივ, დამატებით აღნიშნავს:

– ანკარის მიერ მიზანმიმართულად გატარებული პოლიტიკის შედეგად, ბოლო წლების მანძილზე, აჭარაში უკვე 180 მეჩეთი და 60-მდე მედრესეა აშენებული და ეს იმ დროს, რომ ავტონომიაში მაჰმადიანური რელიგიის მიმდევრები მოსახლეობის მხოლოდ 15%-ს შეადგენენ.



ბათუმში, ქობულეთში და აჭარის სხვა ზღვისპირა დასახლებებში თურქული ბიზნესი ისეა ყველგან მოდებული, რომ უბრალოდ, „თვალს მოგჭრის“. რასაკვირველია, ამაში თითქოსდა ცუდი არაფერია, მაგრამ არის ერთი მცირე დეტალი; თურქულ კომპანიებსა და სამშენებლო ფირმებში, სასტუმროებში, რესტორნებში, საპარიკმახეროებში ძირითადად მხოლოდ თურქეთის მოქალაქეები მუშაობენ.

ადგილობრივ მცხოვრებლებს თურქი ინვესტორები სამუშაოდ ძალიან იშვიათად და არცთუ ისე დიდი სურვილით იღებენ და თუ იღებენ, მხოლოდ აჭარელ მუსლიმანებს.

– თურქები აჭარაში თავს ბატონ-პატრონებად გრძნობენ. მხოლოდ აბრებს რომ შეხედოთ, შეამჩნევთ, რომ დიდი ასოებით თურქულ ენაზეა, პატარა ასოებით კი – ქართულად, ვერც კი შეამჩნევ, – ხაზს უსვამს ბათუმის ერთ-ერთი მცხოვრები, – მაგრამ რას იზამ... ვისაც ფული აქვს, მუსიკასაც ის უკვეთავს.

ბათუმში აქტიურად ფუნქციონირებენ სხვადასხვა მუსლიმანური ორგანიზაციები, რომლებიც უხვად ფინანსდებიან თურქეთის ხელისუფლების მიერ, აჭარის მოსახლეობის მაქსიმალურად გამაჰმადიანების მიზნით:

– მათ ახალგაზრდები თურქულ მედრესეებში სასწავლებლად მიჰყავთ, ისინი კი შემდეგ სამშობლოში ბრუნდებიან და ისლამის პროპაგანდას იწყებენ. ეს ოსმალეთის იმპერიის აღდგენისთვის მიმართული სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია.

თურქეთმა საქართველოს ეკონომიკური ოკუპირება განახორციელა და ეს ხდება ქვეყნის ხელისუფლების უუნარობით. მთავრობას არ შეუძლია შიდა ბაზრისა და ადგილობრივი მეწარმეების ინტერესების დაცვა. თურქეთმა საქართველოს აჭარა წაართვა როგორც რელიგიური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, – თვლის ქართველი დიპლომატი და პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი.

თუმცა, სურათის სრულად წარმოსადგენად ისიც უნდა ვთქვათ, რომ იმ ექსპერტების აზრი, რომელთა თვალსაზრისს მკითხველი ზემოთ გაეცნო, შეფასებებში დომინანტური არ არის.

თურქეთის ეკონომიკურ ექსპანსიაზე სხვებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ... ვერაფერს იტყვი – მათთვის ნაყოფი მეტად მიმზიდველია... მაგრამ ამ პოლიტიკაზე ფასის გადახდის დროც მოვა. საკითხავი ისაა, როდის დადგება ის მომენტი და რამდენის გადახდა იქნება საჭირო.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თინა ბოკუჩავა: „ივანიშვილის ალტერნატივა ნაციონალები ვართ“

## „იმ ადამიანებმა, რომლებიც პარტიიდან წავიდნენ, ჩვენი იდეა ვერ წაიღეს“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის წევრი, დეპუტატი თინა ბოკუჩავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობიდან წასული ადამიანები არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ პარტიის სამომავლოდ არჩევნებში მიღება-არმიღებასთან დაკავშირებით.

***– ქალბატონო თინა, 20 იანვრის ყრილობის საორგანიზაციო საკითხები თუ დასრულდა, მართლაც 7 ათასი დელეგატი აპირებს მონაწილეობის მიღებას? ჩემი ინფორმაციით, სააკაშვილი აპირებს ყრილობას მიმართოს, ასეა?***

– დიახ, გიდასტურებთ ამ ინფორმაციას, დღის წესრიგში მოიაზრება პრეზიდენტ სააკაშვილის ჩართვა. საორგანიზაციო საკითხები დასრულდა და 20 იანვარს 7 ათას დელეგატს ველოდებით. პოლიტიკური ლიდერები გამოვლენ, ახალი სახეები გამოჩნდებიან. ასევე, უნდა განახლდეს პოლიტსაბჭო, რომელიც არის კოლექტიური გადაწყვეტილების მიმღები ორგანო.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოლიტსაბჭოში ახალი წევრები იქნებიან წარმოდგენილნი, ისევე, როგორც პარტიის ძველი ლიდერები.

***– პარტიის თავმჯდომარის არჩევის საკითხი დღის წესრიგში არ დადგება?***

– საკითხი დგას შემდეგნაირად: პარტიიდან წასული ჯგუფი ლობირებდა ამ საკითხს. ჩვენი მომხრეების ძალიან დიდი ნაწილი თვლის, რომ ეს თანამდებობა ვაკანტური უნდა დარჩეს, სანამ მიხეილ სააკაშვილი დევნილობაში იმყოფება. ჩვენი ამოცანაა, რომ იმ რეალობას არ შევეგუოთ, რომელიც ივანიშვილმა შექმნა. პირიქით, ჩვენი ამოცანაა, რომ ეს რეალობა შევცვალოთ.

ყრილობა გადაწყვეტს სწორედ იმას, რომ პარტიის თავმჯდომარის თანამდებობა ვაკანტური დარჩეს. თუმცა, ნაციონალური მოძრაობა იქნება ძალიან ეფექტური და მოქნილი პოლიტიკური ძალა და ის მზადყოფნას აცხადებს საბრძოლველად.

***– თავმჯდომარის გარეშე?***

– ჩვენ ვრჩებით ქვეყანაში რეალური ოპოზიციური ძალა. ვნახეთ, არჩევნების შემდეგ როგორ მოსუფთავდა ოპოზიციური პოლიტიკური ველი ქვეყანაში, როგორ განვითარდა მოვლენები, ამიტომ ჩვენ ვართ მზად, რომ ეს ბრძოლა ბოლომდე მივიყვანოთ ხალხთან ერთად, რასაკვირველია, დემოკრატიული გზით, ჩვენ შევცვლით ამ ხელისუფლებას.

***– პარტიას ადგილზე ხომ სჭირდება გადაწყვეტილების მიმღები პირი, ლიდერი ვინ იქნება, მაგალითად, აღმასრულებელი მდივანი თუ ეყოლება პარტიას? სერგო რატიანს ვინ ჩაანაცვლებს?***

– დიახ, პარტიას მართლაც სჭირდება გადაწყვეტილების მიმღები პირები, მაგრამ თანამდებობებით არ უნდა ისაზღვრებოდეს. წინასწარ გეტყვით, რომ ყრილობაზე გარკვეული გზავნილები ამ საკითხზე გაჟღერდება. აუცილებლად მოხდება პარტიის დებიუროკრატიზაცია. მეტი გახსნილობისკენ, მეტი მოქნილობისკენ გადაიდგმება ნაბიჯი და არა იმისკენ, რომ თანამდებობებით მოხდეს განსაზღვრა ბევრი რამის.

მთავარია, ადამიანები აქტიურად იყვნენ ჩართული ყოველდღიურ პოლიტიკურ ბრძოლაში. მთელ ამ პროცესში, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი როლი ექნება პოლიტიკურ საბჭოს, რომლის შემადგენლობაში მნიშვნელოვანწილად საქართველოს რეგიონები იქნება წარმოდგენილი.

***– ნაციონალური მოძრაობა მიიღებს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას?***

– ეს საკითხი საერთოდ არ განიხილება. ჩვენთვის ძალიან სამწუხაროა, რომ იმ ჯგუფმა, რომელმაც ნაციონალური მოძრაობა დატოვა, კარიერის დასაწყისში მთელი თავისი ენერგია მიმართოს და ისაუბროს სწორედ ნაციონალურ მოძრაობაზე და არასწორი ინფორმაცია გაავრცელოს პარტიაზე. ერთ-ერთი ასეთი ცრუ ინფორმაციაა, რომ ნაციონალური მოძრაობა არ გეგმავს რომელიმე არჩევნებში მონაწილეობას.

***– ადგილობრივ არჩევნებში მიიღებთ მონაწილეობას?***

– სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ მივიღებთ და ამის შესახებ ყრილობაზე განცხადებაც გაკეთდება. დარწმუნებული ვარ, დამაჯერებელი შედეგებიც გვექნება, რადგან ივანიშვილის ალტერნატივად ამომრჩეველი სწორედ ნაციონალურ მოძრაობას მიიჩნევს.

***– ექსპერტები საწინააღმდეგოს ამბობენ, რომ პარტიის გაყოფით ორივე ფრთა დასუსტდა და თუ 2012 წლიდან თითქმის ყველა არჩევნებზე მეორე ადგილზე გადიოდა ნაციონალური მოძრაობა, გაყოფის შემდეგ ამას ვერ შეძლებს.***

– რა თქმა უნდა, ივანიშვილის ამოცანა სწორედ ეს იყო. ვერ ეგუებოდნენ, რომ ნაციონალური მოძრაობა არ გაქრა რადარებიდან, როგორც ამას გვიწინასწარმეტყველებდა ბატონი



ღარიბაშვილი თავის დროზე. მიუხედავად ყველაფრისა, ნაციონალური მოძრაობა არ გაქრა და ამ გაყოფით ის კიდევ უფრო გაძლიერდა. ივანიშვილისთვის ეს მცდელობა იქნება წარუმატებელი.

***– არ დაგეტყობათ ყოფილი თანაგუნდელების წასვლა?***

– როგორ არ დაგვეტყობა, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ 27 წევრი ვიყავით პარლამენტში და ახლა 6 წევრი ვიქნებით, მაგრამ ეს 6 ადამიანი ძალიან ეფექტურად ვიბრძოლებთ პარლამენტში. შეიძლება იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებიც ძალიან დიდი ხანი იყვნენ პარტიაში, ასოცირდებიან წარმატებებთან, მაგრამ პარტია რჩება და პარტია არის სიცოცხლისუნარიანი. ეს მოძრაობა არ დგას ერთ ადამიანზე ან სამ ადამიანზე, ეს პარტია იდეაზე დგას, ეს არის მთავარი. იმ ადამიანებმა, რომლებიც პარტიიდან წავიდნენ, ეს იდეა ვერ წაიღეს.

# „ბოკერია ივანიშვილს 2015 წელს გაურიგდა“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ემუქრებოდნენ ბოკერიას სახლთან გამართული აქციის გამო, რა წერილები გაუგზავნეს ყოფილ პრემიერს, „ოცნების“ რომელმა ფრთამ დაალაგა გამიჯნულებთან ურთიერთობა და რა მიზანი აქვს ნაციონალების გაყოფას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.



***– თქვენ სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ 2015 წელს გიგა ბოკერიას სახლთან გამართეთ აქცია, რასაც ხელისუფლების მხრიდან აღშფოთება მოჰყვა. ამბობთ, რომ „ოცნების“ მხრიდან იყო მუქარებიც. შეგიძლიათ უფრო დეტალურად გვითხრათ, რა მოხდა მაშინ?***

– 2015 წლის მარტში ნაციონალებმა რამდენიმეათასიანი საპროტესტო აქცია მოაწყვეს. ამ აქციამდე ცოტა ხნით ადრე, პარლამენტთან გიგა ბოკერიასთან შეხლა-შემოხლა მომიხდა. ამის გამო სამართალდამცავებმა დამაკავეს. გიგა ბოკერია კატეგორიულად ითხოვდა, რომ ჩემ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღეძრათ. სასამართლომ სხვანაირად გადაწყვიტა და მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელი მაკმარეს.

ამის შემდეგ „თავისუფალმა თაობამ“ გადავწყვიტეთ, რომ ნაციონალების ლიდერების სახლებთან აქციები მოგვეწყო. ეს ის პერიოდია, როცა მთელ საქართველოს სჯეროდა, რომ ბოკერია საშინლად იყო დაპირისპირებული ამ ხელისუფლებასთან და მას საშინელებების მოწყობას უპირებდა.

2015 წლის მარტის აქციისთვის ნაცები სერიოზულად ემზადებოდნენ. იმ შემთხვევაში თუ ხალხი მოგროვდებოდა, ისინი კარვების გაშლასაც აპირებდნენ. ჩვენ მივედით ნაცლიდერების სახლებთან და პატარა აქციებიც მოვაწყვეთ. ჩვენი სხვა აქციებისგან განსხვავებით, ეს მშვიდობიანი ღონისძიებები იყო. უბრალოდ, ხალხს ვთხოვდით, დამნაშავეების აქციაზე არ წასულიყვნენ.

პირველი აქცია გივი თარგამაძის სახლთან გავმართეთ, მერე გიგა ბოკერიას მივაკითხეთ. ჩვენი მესამე სამიზნე გია ბარამიძე იყო, რომლის სახლამდეც ველარ მივაღწიეთ – ჩემს ტელეფონზე ატყდა რეკვა. ხელისუფლების წარმომადგენლები ღიად მეუბნებოდნენ, ბოკერიასთან მისვლა როგორ გაბედეო.

***– კონკრეტულად ვინ გირეკავდათ?***

– შსს-ს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, რომელიც ახლაც მაღალ თანამდებობაზეა. მირეკავდნენ პრემიერის ადმინისტრაციიდან. დამირეკა „ოცნების“ რამდენიმე დეპუტატმა. მეუბნებოდნენ, კიდევ თუ გაბედავთ ბოკერიასთან მიახლოებას, დაგიჭერთო. გამახსენეს ისიც, ცოტა ხნით ადრე როგორ ითხოვდა ის ჩემ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ ჩემმა მეგობარმა სანდრო ბრეგაძემ ძალიან საინტერესო ინფორმაცია მომაწოდა. ის მაშინ მინისტრის მოადგილე იყო. ამერიკის მაშინდელმა ელჩმა ნორლანდმა ირაკლი ღარიბაშვილს წერილობით მიმართა, რომ ჩვენი თავნებობა აღეკვეთა. ის ასევე ითხოვდა, რომ „თავისუფალი თაობა“ გაეჩერებინათ. რამდენადაც მე ვიცი, ამ მიმართვას ყოფილმა პრემიერმა ყურადღება არ მიაქცია. ირაკლი ღარიბაშვილი ასეთ მოთხოვნებს, როგორც წესი, არაფრად აგდებდა.

***– რატომ არ აქცევდა ყურადღებას?***

– იმიტომ არ აქცევდა, რომ კარგი კაცია. მიაჩნდა, რომ ამერიკის ელჩს არანაირი უფლება არ ჰქონდა, საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარეულიყო. ამიტომაც გადააყენეს პრემიერობიდან.

***– მოდით, ისევ მუქარებს დავუბრუნდეთ. რა მოხდა ამის შემდეგ?***

– ჩვენ კარგა ხანს ვიყავით გაოგნებულები. ხელისუფლების მხრიდან სულ ის გვესმოდა, რომ ნაციონალები რევოლუციის მოწყობას და არეულობას აპირებდნენ. აქედან გამომდინარე ცოტა უცნაური იყო, რატომ მლანძღავდნენ ბოკერიას გამო. მოგვიანებით თავად ნაციონალების მიმართაც გაჩნდა ეჭვები.





## რას ითხოვდა აშშ-ის ელჩი ირაკლი ღარიბაშვილისგან

***– იმათ მიმართ რა ეჭვები გაგიჩნდათ?***

– აქციისთვის სერიოზულად ემზადებოდნენ. ვიცოდით, რომ რაღაც მომენტში რუსთაველზე კარვების გაშლასაც აპირებდნენ, მაგრამ მერე ერთს წამოიყვირებდნენ და იშლებოდნენ. ამ ყველაფრის ავან-ჩავანი იყო გიგა ბოკერია. მერე და მერე გავარკვიეთ, რომ „ოცნების“ რომელიღაც შტოსთან ის შეკრული იყო. ხელისუფლებაში დღემდე რამდენიმე შტო არსებობს.

***– რომელ შტოს გაურიგდა?***

– ღარიბაშვილთან ნამდვილად არ გარიგებულა. როგორც უკვე გითხარით, მან აშშ-ის ელჩის მოთხოვნა არ გაითვალისწინა. მისი წასვლის შემდეგ „თავისუფალ თაობას“ ხელისუფლებასთან ძალიან დაგვეძაბა ურთიერთობა. ჩვენს დაშლაზე სპეცსამსახურებმა სერიოზულად იმუშავეს. როგორც ჩანს, ბოკერიას ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა ხელისუფლებასთან დალაგებული ურთიერთობა.

***– მაინც ვისთან დაალაგა?***

– იმათთან, რომლებიც ახლა ბაირამობენ. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ის ივანიშვილთან არის გარიგებული. ეს გარიგება ჯერ კიდევ 2015 წელს შედგა. ისინი ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ ბოკერიას ივანიშვილის ლანძღვის უფლებაც კი აქვს, ოღონდ ერთი პირობით – რა დოზითაც ივანიშვილს გალანძღავს, იმ დოზით უნდა გალანძღოს სააკაშვილი.

***– სააკაშვილის მლანძღველი დაილია ამ ქვეყანაში, ბოკერიას რომ არ გარიგებოდა?***

– საქმეც ისაა, რომ ბოლო პერიოდში სააკაშვილს აღარავინ ლანძღავდა. ეს იმ მიზეზით არ მომხდარა, რომ ხალხს დაავიწყდა ნაციონალების შავი საქმეები. ხელისუფლებამ ისინი არ დასაჯა და ხალხი უკვე „ოცნების“ გინებაზე გადავიდა. ბოლოს მიშა აღარავის ახსოვდა. ამიტომაც მოიფიქრეს ეს სქემა და ახლა უგულავა-ბოკერიას ალანძღინებენ ნაციონალებს.

მგონია, რომ მათი გაყოფაც ივანიშვილის გეგმის ნაწილია. ის ამ ნაციონალებს დააჭმევინებს ერთმანეთს და რომელი ფრთაც გადარჩება, მას დატოვებს ოპოზიციად. ნამდვილი ოპოზიცია მას უკვე აღარ სჭირდება.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# მსოფლიოს ყველაზე ლოთ ქვეყნებს შორის საქართველო 66-ე ადგილზეა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2010-2015 წლებში სპირტიანი სასმელების მომხმარებელი ქვეყნების ტოპ-ათეული გამოაქვეყნა.

პირველ ადგილზეა მოლდოვა (5 წელიწადში საშუალოდ 17,4 ლიტრი სუფთა სპირტი 1 სულ მოსახლეზე), მეორეზე – ბელარუსი (17,1 ლ.), მესამეზე – ლიტვა (16,2 ლ.), შემდეგ მოდიან რუსეთი (14,1 ლ.), ჩეხეთი (14,1 ლ.), უკრაინა (13,9 ლ.), ანდორა



(13,8 ლ.), რუმინეთი (12,9 ლ.), სერბეთი და ავსტრალია (12,6 ლ.).

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების ქართულენოვან ვერსიას ანალიტიკოსი სიმონ კილაძე აქვეყნებს.

– ალბათ, დაინტერესდით, ქართველები რამდენს ვსვამთ (უფრო ზუსტად, რამდენი დავლიეთ 2010-2015 წლის განმავლობაში) ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით?

მაშ, ასე: საქართველო 66-ე ადგილზეა (7,7 ლ.), იაპონია და ჩინეთი – 69-ზე (6,7 ლ.), ჩინელებსაც ამდენივე დაულევიათ, იტალია – 97-ზე (6,1 ლ.), სომხეთი – 108-ზე (5,3 ლ.), თურქეთი კი – 147-ზე (2,4 ლ.), – წერს კილაძე.

ნიუსპრესი

2017, 19 იანვარი, №15

# რატომ აიღეს კალაძის მოადგილეებმა 16.500 ლარის პრემია–დანამატი

შორენა მარსაგიშვილი

**გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულების გარშემო ვნებათაღელვა გრძელდება. ისედაც ექვებით შეპყრობილი ოპოზიცია ხელშეკრულებაზე დადებული საიდუმლო გრიფის მოხსნას ითხოვს.**

**საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მოსაზრებით, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით გაუარესდა ქვეყნის ენერგოსექტორი, დაზიანდა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები.**

მისივე თქმით, ამ შეთანხმების გამო შესაძლოა მივიღოთ დამატებითი პოლიტიკური რისკები ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით და ასევე ეკონომიკური დანაკარგები.

საიდუმლო გრიფით საგულდაგულოდ დაცულ შეთანხმებასთან დაკავშირებით კითხვები აქვთ ნაციონალებისგან გამოყოფილ „ევროპულ საქართველოშიც“.

მათი განცხადებით, გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულებით დაზიანდა საქართველოს ეკონომიკა. გაევროპელებული ნაციონალები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებამ ქვეყნის ინტერესებს უღალატა.

— ჩვენი ენერგეტიკის რუსეთის ფედერაციაზე მიბმა არის საქართველოს ინტერესების ღალატი და ამის უკან შეიძლება დამატებით იყოს კორუფციული გარიგებები, — აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ოთარ კახიძე.



ხელშეკრულების გასაჯაროებას ითხოვს ნაციონალური მოძრაობაც. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი დეპუტატი ნუგზარ წიკლაური მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ ხალხის ზურგს უკან იმოქმედა და ქვეყანაც დააზარალა.

გაზპრომთან გაფორმებული საიდუმლო შეთანხმება პატრიოტთა ალიანსსაც უკარგავს მოსვენებას. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ირმა ინაშვილმა პარლამენტის სპიკერატს სთხოვა, რომ გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლის მიღებაში დაეხმარონ.

— საზოგადოებისთვის ნათელი უნდა გახდეს მოტივები, რამაც ხელისუფლება აიძულა, თუ ნებით წავიდა გაზპრომთან ასეთი ხელშეკრულების გაფორმებაზე. როდესაც ქვეყანა მილსადენში გატარებული გაზის 10%-ს იღებდა, ხოლო მომავალში თანხას მიიღებს, ეს ქვეყანას ეკონომიკურად აზარალებს.

არ ყოფილა დაკონკრეტებული, რა არის ეს თანხა, რამდენად შესაბამისია ის. ძალიან ბევრი კითხვა აქვს საზოგადოებას, არასამთავრობო სექტორს და ეს კითხვები გვაქვს ჩვენც. ამიტომ გვინდა ვნახოთ ხელშეკრულება და ამის შემდეგ ვიმსჯელოთ, რამდენად იძულებული იყო ხელისუფლება, ასეთი ნაბიჯი გადაედგა, თუ ნებით გადადგა მან ეს ნაბიჯი, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გოჩა თევდორაძემ.

განათლების მინისტრს, კომბლეს ოპოზიციონერ ალექსანდრე ჯეჯელავას იქეთ აქვს კითხვები, თუ რატომ აქვს ოპოზიციას კითხვები.

— ქვეყანას გაფორმებული აქვს ათასობით ხელშეკრულება, გაზპრომი არის ერთი ათასიდან, სხვა 999 ხელშეკრულებაზე ასეთი ინტერესი არ გამოუთქვამთ, — განუცხადა ჟურნალისტებს მინისტრმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე მოლაპარაკებების დეტალებს არ იცნობს, მაგრამ იმედისმომცემ განცხადებებს აკეთებს. მისი თქმით,

გაზპრომთან მოლაპარაკებების პროცესში მიღებულია გონივრული და გააზრებული გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს ინტერესებს ემსახურება.

ოპოზიციის გარდა, 80-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია ითხოვს, მოეხსნას კომერციული საიდუმლოს გრიფი გაზპრომთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, სომხეთში, რუსული გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ, საქართველო გატარებული ბუნებრივი აირის 10%-ს ვეღარ დაიტოვებს.

ახალი ხელშეკრულებით, 2017 წელს, რუსეთი გაზის ტრანზიტის საფასურს, ნაწილობრივ ბუნებრივი აირით, ნაწილობრივ კი ფულადი სახსრებით დაფარავს. 2018 წლიდან კი საქართველოს ტერიტორიაზე, ყოველ 100 კილომეტრში, 1000 კბ/მ რუსული ბუნებრივი აირის გატარება იმ ტარიფით ანაზღაურდება, რომელიც 10 იანვარს ბელარუსის დედაქალაქ მინსკში შეთანხმდა.

გაზპრომთან გაფორმებულ შეთანხმებაზე კითხვები აქვს მონიტორინგის ცენტრ „მედიატორსაც“. მათ ენერგეტიკის სამინისტროსთან სხვა კითხვებიც აქვთ. კითხვები „მედიატორს“ დეკემბრის თვეში გაცემულმა პრემიებმა გაუჩინა.

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „გაზპრომთან ჩაგდებული ხელშეკრულების შემდეგ მათ პრემია არ უნდა აეღოთ“

მონიტორინგის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ბიძინაშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში მხოლოდ დეკემბრის თვეში შრომის ანაზღაურებამ 264.040 ლარი შეადგინა.

— უწყებაში 88.840 ლარის პრემია გაიცა და 72.661 ლარის ოდენობის დანამატი. პრემია-დანამატის ჯამმა სულ 161.501 ლარი შეადგინა, — ამბობს ბიძინაშვილი

მისივე თქმით, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეების მიერ საახალწლოდ აღებული პრემია-დანამატები. მარტო 3 კაცზე დეკემბერში 24.660 ლარი გაიცა,

— კახა კალაძის სამმა მოადგილემ, საახალწლოდ ჯამში 24.660 ლარი მიიღო, საიდანაც დანამატი და პრემია 16.500 ლარია. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს პრემიები მათ მაშინ გამოიწერეს, როდესაც ფაქტობრივად ჩააგდეს გაზპრომთან მოლაპარაკება, — ამბობს ბიძინაშვილი.

მისი აზრით, ამ პერიოდში კალაძის მოადგილეები არ იმსახურებდნენ პრემიებს.

— მათ რუსულ მხარესთან ისეთი ხელშეკრულება გააფორმეს, რომ ქვეყნის ინტერესები, ენერგოსისტემა და ეკონომიკა დააზარალეს. აქედან გამომდინარე, მათ პრემია არ ეკუთვნოდათ, — ამბობს „მედიატორის“ წარმომადგენელი.

# კახა კალაძე: „გაზპრომთან ენერგოდამოუკიდებლობა არ დაგვიკარგავს“

შორენა მარსაგიშვილი

გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულების გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ხელისუფლებაც გამოეხმაურა.

განმარტებები ხელშეკრულებაზე ხელისმომწერმა კახა კალაძემ გუშინ საღამოს გააკეთა. მისი მტკიცებით, ცუდი არაფერი მომხდარა. ენერგეტიკის მინისტრის თქმით, ბოლო დროს სხვადასხვა ჯგუფის მიერ გაკეთებული განცხადებები პოლიტიკური დემაგოგიის ნაწილია.

მინისტრი ხელშეკრულების გასაჯაროებას არ ჩქარობს და ერს სთხოვს, ოპოზიციას არ აჰყვეს.

— ქვეყანაში მიმდინარე დინამიური და პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, გამარგინალებული და მოსახლეობაში არაპოპულარული პირობითი ჯგუფები ძველი ინერციით მოქმედებენ და საკუთარი უსარგებლობის გადასაფარად ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს იყენებენ და დეზინფორმაციულ ისტერიას აწყობენ.

წესით, დღეს მე ამ ბრიფინგს არ უნდა ვატარებდე მარტივი მიზეზის გამო, რომ მოსახლეობისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რაციონალური და სწორი ნაბიჯები გადადგა მთავრობამ გაზპრომთან მოლაპარაკებებში, — განმარტა ენერგეტიკის მინისტრმა.

გაზპრომთან ხელისმომწერი ამტკიცებს, რომ მის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებას საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობა არ შეუბღალავს.

— არა ვიწრო პოლიტიკური ინტერესების ჯგუფებისთვის, არამედ ჩვენი მოსახლეობისთვის კიდევ ერთხელ მინდა განვმარტო, მთელი პასუხისმგებლობით ამ მოლაპარაკებების შედეგი. ამით ჩვენ შევინარჩუნეთ ენერგოდამოუკიდებლობის იგივე ხარისხი. ქვეყნის სატრანზიტო ფუნქცია რეგიონში და სტაბილური განვითარება.



შეიცვალა მხოლოდ გადახდის ფორმა. მხოლოდ ესაა ფაქტი, არც მეტი, არც ნაკლები. ჩვენ ეს მოსახლეობას პირველივე დღეს ვაცნობეთ და ამაზე პოპულისტური ქულების დაწერა, ისტერიისა და პოლიტიკური დემაგოგიის ნაწილია ის განცხადებები, რასაც ბოლო დღეების განმავლობაში ვისმენთ, — აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე მტკიცებით, „ოცნება“ ხალხს იმიტომ აურჩევია, რომ მათ შესაძლოა რთული, მაგრამ საჭირო გადაწყვეტილებების მიღება ძალუძთ. მინისტრის თქმითვე, ისინი ხალხს არაფერს უმალავენ.

— გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ ამომწურავად იქნა ინფორმაცია მიწოდებული მედიის საშუალებით. ასევე შედგა კომუნიკაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, ექსპერტებთან და არასამთავრობოებთან. ძალიან სამწუხაროა, რომ გვიწევს გარკვეული პოლიტიკოსების, თუ პოლიტიკური ჯგუფების, მათთან ასოცირებული ორგანიზაციების საზოგადოებისგან გამიჯვნა და მათზე განმარტებების გაკეთება, — ამბობს მინისტრი.

ვიცე-პრემიერი შეწუხებულია იმით, რომ გაზპრომზე ატეხილმა აჟიოტაჟმა შესაძლოა ქვეყნის სტაბილურობას საფრთხე შეუქმნას.

**კახა კალაძე:**

— სამწუხაროა და არ არის ახალი, თუ როგორ იყენებენ ამ თემებს და ამით რისკის ქვეშ აყენებენ ქვეყნის მშვიდ და სტაბილურ განვითარებას. ნებისმიერ თემაზე აჟიოტაჟისა და უსაფუძვლო ისტერიის ატეხვა ემსახურება ერთადერთ მიზანს, მიიქციონ ყურადღება და დაიწერონ პოლიტიკური ქულები, ან მიიღონ სხვა ბენეფიტები მსგავსი პოპულისტური განცხადებებით.

ყურადღების მიქცევა და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება შესაძლებელია სასარგებლო საქმეებითაც. პოლიტიკური პოპულიზმის დრო წარსულს ჩაბარდა. თუ მოსახლეობის ნდობისა და გვერდში დგომის მოპოვება გსურთ, ბატონებო, ეს სხვა გზით უნდა გააკეთოთ და არა — დესტრუქციული და აბსურდული თემებით.

იმედს ვიტოვებ, ეს ხარვეზი მოსახლეობის გზით სულ მალე გამოსწორდება. ჩვენს გუნდს ძალიან კარგად აქვს გააზრებული პასუხისმგებლობა და ვალდებულება ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ჩვენ ვართ ხელისუფლება, რომელიც არ ჰყვება პოპულიზმს და ამ მხრივ ქვეყნისთვის ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს იღებს მოსალოდნელი პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგების გათვალისწინებით.

# „მიტროპოლიტ სერაფიმეს დანიშვნა მიუღებელია“

**გერმანიის და ავსტრიის ეპარქიის სამღვდელოება ეპარქიის მმართველად მიტროპოლიტ სერაფიმეს დანიშვნის გამო პროტესტს გამოთქვამს**



გერმანიის და ავსტრიის ეპარქიის სამღვდელოება და მრევლი ეპარქიის მმართველად მიტროპოლიტ სერაფიმეს (ჯოჯუა) დანიშვნის გამო პროტესტს გამოთქვამს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გერმანიის და ავსტრიის ეპარქიის სამღვდელოებისა და მრევლის საპროტესტო განცხადებას მიუნხენის, შტუტგარტის, ფრანკფურტის, ნიურნბერგისა და ინსბრუკის სამრევლოების წინამძღვარი დეკანოზი თამაზ ლომიძე ფეისბუქის საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მათთვის ეპარქიის მმართველად მიტროპოლიტ სერაფიმეს (ჯოჯუა) დანიშვნის ფაქტის შესახებ 16 იანვარს გახდა ცნობილი, რამაც მორწმუნეებში აღშფოთება, განხეთქილება და მღელვარება გამოიწვია.

განცხადების ავტორები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს შესაბამისი რეაგირებისათვის მიმართავენ.

ინტერპრესნიუსი განცხადების ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

— 16 იანვარს საჯაროდ გახდა ცნობილი, რომ გერმანიისა და ავსტრიის ეპარქიის მმართველად დაინიშნა მიტროპოლიტი სერაფიმე (ჯოჯუა), რომელსაც რამდენიმე თვის წინ, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის სასწრაფოდ დატოვება მოუწია მრევლის მხრიდან უმძიმესი ბრალდებების გამო.

ვაცხადებთ, რომ არსებული ბრალდებების გამო, მიტროპოლიტ სერაფიმეს დანიშვნა ჩვენს ეპარქიაში აბსოლუტურად მიუღებელია სამღვდელოებისა და მრევლისთვის. ეს გადაწყვეტილება მორწმუნეებში იწვევს აღშფოთებას, განხეთქილებას და მღელვარებას.

იგი ჩვენს სამრევლოებში ხელს არ შეუწყობს სიმშვიდესა და ერთიანობას, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილება მიგვაჩნია მრევლისთვის მრავალმხრივ საზიანოდ, გამოვთქვამთ პროტესტს და ვაცხადებთ, რომ არ დავექვემდებარებით მიტროპოლიტ სერაფიმეს, ვრჩებით საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში და მივმართავთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შესაბამისი რეაგირებისათვის.

განცხადებას ხელს აწერენ მიუნხენის, შტუტგარტის, ფრანკფურტის, ნიურნბერგის და ინსბრუკის სამრევლოების წინამძღვარი დეკანოზი თამაზ ლომიძე; დიუსელდორფის, ბონის, კარლსრუეს, ბილეფელდის და ოსნაბრუკის სამრევლოების წინამძღვარი არქიმანდრიტი ისე (გელაშვილი) და ბერლინის, ჰანოვერის, ჰამბურგის და ზაარბრიუკენის სამრევლოების წინამძღვარი არქიმანდრიტი იოანე (სილაგაძე).

მიმდინარე წლის დასაწყისში სულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის ეპისკოპოსად ლაზარე (სამადბეგიშვილი) დაინიშნა, რომელიც მანამდე ავსტრია-გერმანიის ეპარქიის ხელმძღვანელი იყო.

2016 წლის გაზაფხულამდე კი ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიას, 21 წლის განმავლობაში, მიტროპოლიტი სერაფიმე ხელმძღვანელობდა. გავრცელებული ინფორმაციით, ბოლო დრომდე მეუფე სერაფიმე ათონის მთაზე იმყოფებოდა.

**ინტერპრესნიუსი**

# „თახვის დღის პერსონაჟის მდგომარეობაში ვართ“

## კანცელარიასთან გაზპრომის საწინააღმდეგო აქცია გაიმართა



გუშინ საღამოს, როცა ენერგეტიკის მინისტრი გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ საუბრობდა, პარალელურად მთავრობის კანცელარიის წინ აქცია-პერფორმანსი „არა გაზპრომს“ იმართებოდა.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო პლატფორმა დაიცავი თავისუფლება. მათი შეფასებით, გაუგებარია, რატომ ზრდის ხელისუფლება ენერგოდამოკიდებულებას რუსეთზე და რატომ აყენებს ქვეყანას წამგებიან მდგომარეობაში.

— თახვის დღის პერსონაჟის მდგომარეობაში ვართ, წრეზე წავედით, ვაპროტესტებთ იმას, რასაც ვაპროტესტებდით შარშან, გაზპრომზე საქართველოს ენერგოდამოკიდებულების გაზრდას. დღეს ჩვენ ვართ ძალიან უცნაურ მდგომარეობაში, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას აქვს ყველა ბერკეტი, რომ მისთვის მომგებიანი სიტუაცია ჩვენთვის სასარგებლოდ გამოიყენოს და რატომღაც მაინც მიდის დათმობებზე რუსეთთან მაშინ, როდესაც რუსეთს ჩვენ მიღმა გზა არ აქვს.

ირანის მილსადენი მოაქვთ მაგალითად. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ირანიდან მიიღებს სომხეთი გაზს, ესეც კი ჩვენთვის პოლიტიკურად მომგებიანი იქნება, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა თამარ ჩერგოლეიშვილმა.

კანცელარიასთან შეკრებილები, ენერგეტიკის სამინისტროსგან გაზპრომთან ხელშეკრულების დეტალების გასაჯაროებას ითხოვდნენ.

# ბიძინა გუჯაბიძე: „გაზპრომთან დადებული კონტრაქტი კონფიდენციალურია და მას ამიტომ ვერ გაასაჯაროებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ზოგიერთ აქტუალურ პრობლემებზე ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის წევრს, კონსერვატორების ფრაქციის დეპუტატ ბიძინა გუჯაბიძეს.

***– ოპონენტები აპროტესტებენ გაზპრომთან გაფორმებულ ახალ ხელშეკრულებას. ამ თემაზე საზოგადოებაში კითხვები ჩნდება იმის გამო, რომ მისი პირობები საიდუმლოა..***

– გაზპრომთან დადებული კონტრაქტი კონფიდენციალურია და მას ამიტომ ვერ გაასაჯაროებენ. მასში საეჭვო არაფერია. როცა ერთი მხარე მოითხოვს კონფიდენციალობას, მეორე ამ პირობას ვერ დაარღვევს. ეს დოკუმენტი არის არა მარტო სახელმწიფოებს შორის გაფორმებული შეთანხმება, არამედ აქ ჩართულია ბიზნესინტერესებიც. მთავარი რაცაა ამ კონტრაქტში, საზოგადოებას აცნობეს. დეტალები ვერ გახმიანდება. ხალხი „ქართულ ოცნებას“ ენდო და არჩევნებში მას დაუჭირა მხარი. მინდა ყველა დავარწმუნო, რომ ხელისუფლება მოქმედებს ქვეყნისა და ხალხის ინტერესების შესაბამისად და ამ მიდგომას არ გადაუხვევს. ხელისუფლებას არც გაზპრომთან ურთიერთობაში დაუზიანებია საქართველოს ინტერესები. ამ თემას კარგად იყენებენ გაკოტრებული პოლიტიკოსები, რომლებიც ჩასაფრებული არიან და ყველაფერს იყენებენ, ოღონდ კი რამეს გაკრან კბილი.

***– ამ საკითხზე განსაკუთრებით აქტიურობენ ნაცმოძრაობა და მისგან გამოყოფილი „ევროპული საქართველო“. გაკოტრებული პოლიტიკოსები ახსენეთ და ბევრი დარწმუნებულია, რომ ნაცმოძრაობა გაკოტრებული კი არაა, არამედ ფართოდ გაიშალა.***

– ეს არ არის „ქართული ოცნებისა“ და პარლამენტის უმრავლესობის პოზიცია. ნაციონალური მოძრაობის დაშლა ხდება და არა – გაშლა. იდეოლოგიურად ისინი ერთნი არიან, მაგრამ ერთმანეთში უთანხმოება აქვთ. ეს დაპირისპირება თავიდანვე უკავშირდებოდა გავლენების მოპოვებას, ფინანსებს, კვოტებს. ნაციონალური მოძრაობის ქონებაზე არსებობს სერიოზული პრეტენზიები. ერთი მხარეც გაკოტრებულია და მეორეც. რაც უნდა კარგი და ევროპული სახელი დაირქვან გამოყოფილებმა, ისინი წარსულის ლაქებს ვერ ჩამოირეცხავენ. ნაცმოძრაობას და მის დანაყოფებს უმძიმესი წარსული აქვთ. მათ ბევრი დანაშაული ჩაიდინეს. გამორიცხულია, რომ მათ რაიმე



## „გაკოტრებულ პოლიტიკურ ძალასთან რატომ უნდა გავრიგდეთ?“

პერსპექტივა ჰქონდეთ. როცა „ქართული ოცნება“ მოდიოდა ხელისუფლებაში, მაშინ ითქვა, რომ გარკვეული ხნის შემდეგ ნაციონალური მოძრაობა აღარ იარსებებდა. ამის სურვილი ძალიან ბევრ ჩვენს მოქალაქეს ჰქონდა. ახლა მისი დაშლის პროცესის წინაშე ვართ.

***– არსებობს მოსაზრება, რომ „ქართული ოცნება“ გარიგებულია ნაციონალებთან. უფრო ხშირად საუბრობენ ალიანსზე „ევროპული საქართველოს“ ლიდერებთან.***

– ვინც ამას ამბობს, ის საქმეში ჩახედული არ არის. გაუგებარია, გაკოტრებულ და არარეიტინგულ პოლიტიკურ ძალასთან რატომ უნდა გავრიგდეთ? „ქართულ ოცნებას“ ეს არ სჭირდება. კოაბიტაციაზე რომ წავედით, მაშინაც ბევრ რამეს გვაბრალებდნენ. არადა, კოაბიტაცია არ ყოფილა გარიგება. ეს იყო იძულებითი ნაბიჯი იმ პირობებში, როცა „ქართული ოცნების“ კოალიციის გამარჯვების შემდეგ პრეზიდენტი ისევ სააკაშვილი იყო, თბილისის მერი კი – უგულავა. ამ ორ ინსტიტუტს პატივისცემა სჭირდებოდა. გარდა ამისა, დასავლელმა პარტნიორებმაც გვირჩიეს მშვიდობიანი ურთიერთობა ოპონენტებთან სხვა დონეზეც, მაგალითად, საკრებულოებში. კოაბიტაცია ამ გარემოებებით იყო გამოწვეული. ჩვენი დადანაშაულება ნაციონალებთან ალიანსებში იმ დროიდან მოდის. ესაა ტყუილი ბრალდებები. ასეთ ტყუილ ბრალდებებს გვიყენებს შალვა ნათელაშვილი. მას ვურჩევდი, საკუთარ წარსულსა და აწმყოს მიხედოს და ამით ნუ ცდილობს ყურადღების მიქცევას.

***– პრეზიდენტის ინსტიტუტისა და მისი პატივისცემის თემა ახლაც აქტუალურია. საპარლამენტო უმრავლესობას აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მას საკონსტიტუციო ცვლილებებით უნდა პრეზიდენტის ინსტიტუტის უფრო შესუსტება და მისი არჩევის წესის შეცვლა.***

– საქართველოში საპარლამენტო მმართველობის შემოღება ადრევე გადაწყდა. ასეთი მოდელი არ ითვალისწინებს ძლიერ პრეზიდენტს. მისი ფუნქციები შედარებით შეკვეცილია, პრემიერისა და პარლამენტის კი – გაზრდილი. პრეზიდენტის არჩევის წესი აქედან გამომდინარეობს და შესაბამისი უნდა იყოს. ჩვენნაირი მმართველობის სახელმწიფოებში პრეზიდენტს ხალხი არ ირჩევს. ამას აკეთებს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი. პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტებაზე ლაპარაკი ზედმეტია. არც პირადად გიორგი მარგველაშვილს ერჩის ვინმე. სააკაშვილი ავიტანეთ ამ პოსტზე ერთი წლის განმავლობაში და მარგველაშვილს რა უნდა ავუტეხოთ?

***– დავით უსუფაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ პრეზიდენტი შეიძლება გადადგეს, რითიც გამოხატავს პროტესტს პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლის გამო.***

– დავით უსუფაშვილს თავისი მოსაზრება აქვს. მე ამის წინაპირობებს ვერ ვხედავ. ჯერ ამ საკითხის განხილვაც არ დაწყებულა. თუ დაიწყება და არჩევის წესი შეიცვლება, ეს არავის წინააღმდეგ არ იქნება მიმართული. საპარლამენტო რესპუბლიკებში არსებობს ასეთი პრაქტიკა. პრეზიდენტებს ყველგან ხალხი არ ირჩევს.

***– ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს არ ელით?***

– პროგნოზები პოლიტიკაში უმადურ საქმედ ითვლება. ამ ეტაპზე ვერ ვხედავ იმის ნიშნებს, რომ გიორგი მარგველაშვილი შეიძლება გადადგეს. გაუგებარია, რატომ უნდა მოაწყოს ასეთი დემარში თუნდაც მაშინ, თუ არჩევის წესი შეიცვალა?!

# სააკაშვილი: „ეს ჩემთვის კარგი გაკვეთილია“

– საქართველოს პოლიტიკურ ცის კაბადონზე მთავარი ოპოზიციური ძალა, ნაციონალური მოძრაობა, არსებობის ისტორიაში ყველაზე რთულ პერიოდში იმყოფება.

მისი რიგებიდან იმ საჯარო პოლიტიკოსების მნიშვნელოვანი ნაწილის წასვლა, რომლებსაც საზოგადოება კარგად იცნობს, ბევრისთვის პარტიის მკვეთრი დასუსტების დამადასტურებელი ფაქტია.

ამის შესახებ აზერბაიჯანული გამოცემის მიერ ჟურნალისტ რაუფ ტოფიკოღლუს ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაშია ნათქვამი.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას.

◆ ◆ ◆




მოცემულ სიტუაციაში პარტიის უცვლელმა ლიდერმა, საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვიტა ხალხის წინაშე გამოსულიყო, დაეხასიათებინა სიტუაცია და გამოეკვეთა სამომავლო პერსპექტივის კონტურები და გეგმები.

მან ეს შორიდან გააკეთა, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მეშვეობით, რომელიც ტრადიციულად ნაციონალებთან ახლოს დგას.

მომხდარი ფაქტის (პარტიის გაყოფის) მიზეზებზე საუბრისას მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციიდან წასული გუნდი თავისი ნაბიჯის გადასადგმელად წინასწარ იყო მომზადებული.

– არჩევნებამდე ორი-სამი თვით ადრე, მათ ახალი პარტია „ევროპული საქართველო“ შექმნეს. მე არ ვიცოდი, თუ მათ ეს ორგანიზაცია გიგი წერეთლის მამის დახმარებით დაარეგისტრირეს და ნაციონალური მოძრაობის ქონებისა და ფულის ნახევარი ამ პარტიაზე გადააფორმეს.

გამოდის, რომ მათ უკვე მომზადებული ჰქონდათ პლატფორმა იმ შემთხვევისათვის, როცა სხვა მატარებელში გადასხდებოდნენ და მოძრაობას გააგრძელებდნენ, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტთან ინტერვიუში.

მან ხაზი გაუსვა, რომ ნაციონალურ მოძრაობას არჩევნებში ხმა თითქმის 500 ათასმა ამომრჩეველმა მისცა.

– განა რომელიმე ამომრჩეველმა იცოდა ის, რომ ნაცმოძრაობასთან ერთად იგი ხმას „ევროპულ საქართველოსაც“ აძლევდა? მე პირადად არაფერი ვიცოდი. ეს მათი უპირველესი სიცრუეა. მეორე – ისინი ამბობდნენ, მიშა პრობლემა არა არისო, ახლა კი აცხადებენ, რომ მთავარი პრობლემა თურმე მე ვყოფილვარ, ეს გულწრფელად თქვეს. მოკლედ, ვაღიარებ, რომ ეს კარგი გაკვეთილია ჩემთვის, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ის თვლის, რომ ნაციონალებიდან წავიდნენ ისინი, ვინც იდეისადმი რწმენა დაკარგა და ისინიც, რომლებსაც საერთოდ არანაირი რწმენა არ ჰქონდათ.

– მუდმივი დავა პარტიის წევრებს შორის, როცა აშკარაა, რომ პოზიციების შეჯერება ვერ მოხდება, მავნებელია. დღეს პარტიაში ისინი დარჩნენ, რომლებსაც იდეისა სჯერათ. ეს დადებითი პროცესია, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და აღნიშნა:

– მწყინს, რომ ზოგიერთი ჩემი ძველი მეგობარი უკვე დეგრადირების პროცესშია.

ნაციონალების ლიდერმა აღიარა, რომ მას და გიგა ბოკერიას გუნდს შორის პარტიის პოლიტიკის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა.

– ჩვენ სხვადასხვა კონცეპტუალური მიდგომები გვქონდა. მე იმის მომხრე ვარ, რომ ჩვენ თვითონ უნდა ვიყოთ დარწმუნებული ჩვენს საქმეში, რასაც ვაკეთებთ, შემდეგ კი ხალხი გამოგვყვება და არა პირიქით, რომ მოდით, მივყვეთ წუთიერ ტენდენციას, რითაც ხალხს გავახარებთ, ვთქვათ ის, რის გაგონებაც ხალხს სურს.

ამ ორ საკითხს შორის დიდი განსხვავებაა. საბოლოო ჯამში, ხალხი იმას გაჰყვება, ვინც საკუთარ იდეაშია დარწმუნებული და არა იმას, ვინც დღევანდელი მომენტის მოცემულობის შესაბამისად მოქმედებს, – ხაზი გაუსვა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის აზრით, პარტიაში მომხდარი განხეთქილების ძირითადი მიზეზი ისაა, რომ გიგა ბოკერიას გუნდმა ვერ შეძლო დამარცხებისადმი შეგუება.

– ეს დაკავშირებული იყო პოლიტიკურ რეპრესიებთან. მათ ძნელად გადაიტანეს ხელისუფლებიდან ჩამოშორება და ოპოზიციაში ყოფნა. ვინც წავიდნენ, ისინი ხომ ყოფილი მაღალჩინოსნები არიან, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, ნაცმოძრაობაში გამიჯვნა ჯერ კიდევ 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ დაიწყო, როცა ბოკერიამ დეპუტატობის კანდიდატთა პარტიული სია შეადგინა.

– სიის შედგენაში მე მონაწილეობა არ მიმიღია. მათ ისე ჩამოაყალიბეს, რომ უარი განაცხადეს პარტიის წინასაარჩევნო ყრილობაზე. ამ საკითხზე ძალიან დიდი კამათი მიდიოდა. მათ არ დაუშვეს ყრილობის ჩატარება, რადგან ყრილობა რომ ყოფილიყო, მაშინ პარტიული სია სულ სხვანაირი იქნებოდა, ანუ მასში სხვა კანდიდატები იქნებოდნენ. მათ კი ისე გააკეთეს, როგორც სურდათ, ისინი ერთმანეთზე მუშაობდნენ, ერთმანეთთან მეგობრობდნენ. მოკლედ, აშკარად ჩანდა ნეპოტიზმის ნიშნები, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ დსთ-ის სივრცეში საქართველომ პირველმა მოახერხა თანამედროვე სახელმწიფოებრიობის შექმნა და ეს ყველაფერი ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობით განხორციელდა.

მართლაც, ექსპრეზიდენტს ამაში ნამდვილად ვერავინ შეედავება.

მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ თუ იგი იგრძნობდა იმას, რომ ხალხმა ზურგი აქცია, იმწამსვე წავიდოდა ლიდერობიდან.

– მე რომ ის მეგრძნო, რომ ხალხმა ზურგი მაქცია, წასვლას ვერავინ დამასწრებდა. მე თვითონ გამოვაცხადებდი, რომ მივდივარ-მეთქი, მაგრამ ასეთი სიტუაცია ხომ არ ყოფილა? მე არაფერი მითქვამს, მათ კი ჩემი გვერდზე გაწევა მოისურვეს. ამ ყველაფერმა აქტივისტების გულისწყრომაც გამოიწვია.

ეს რეაქცია იმას ნიშნავს, რომ აქტივი პირადად ჩემი ერთგული კი არა, პარტიის იდეის ერთგულია. პრობლემა ჩვენ კი არა, უფრო პარტიიდან წასულებს აქვთ, ისინი უკვე ბანკროტები არიან, ხალხს ჩამოსცილდნენ. ბევრი მათგანი უკვე დაიღალა. ჩემთვის მთავარი ის კი არაა, თუ ვინ წავიდა, არამედ ის, თუ ვინ შემოუერთდება პარტიას და მის იდეებს მომავალში. წინ დიდი ამოცანები და დიდი შრომა გველოდება, – ასე ოპტიმისტურად განაცხადა ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა.

პოლიტოლოგმა გელა ვასაძემ გაზეთ „კასპიის“ კორესპონდენტთან საუბრისას მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ასეთი კომენტარი გაუკეთა:

– ზოგადად, მე ვეთანხმები პრეზიდენტის განმარტებას პარტიიდან გასულებთან დაკავშირებით. ერთადერთი, რაც საწყენია, ისაა, რომ მიხეილ სააკაშვილმა მხოლოდ ახლა თქვა ის, რასაც მე ნახევარი წლის წინ ვამბობდი. მიშასაც რომ მაშინ ეთქვა ეს ყველაფერი, ერთიან ნაცმოძრაობას პარლამენტში დღეს დიდი ფრაქცია ეყოლებოდა, „ქართული ოცნება“ კი საკონსტიტუციო უმრავლესობას ვერ მოიპოვებდა.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის სამომავლო პერსპექტივას ახალ შეცვლილ პირობებში, ვნახოთ, რას გააკეთებენ – ყველაფერი მათზეა დამოკიდებული.

**ნიუსპრესი**

**სოკარს ახალი მმართველი ჰყავს**

SOCAR ENERGY GEORGIA

**შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ გაცნობებთ, რომ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-სა და შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარედ დაინიშნა ბატონი დავით ზუბიტაშვილი. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-ს დირექტორად დაინიშნა ბატონი ლევან გიორგაძე.**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

2017, 19 იანვარი, №15

# სერგეენკო: „ზოგიერთმა კლინიკამ თანხები მენეჯმენტის კეთილდღეობაზე დახარჯა“



საქართველოს ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, რიგმა კლინიკებმა საყოველთაო ჯანდაცვით გათვალისწინებული თანხები დახარჯეს მენეჯმენტის კეთილდღეობასა და დივიდენდებზე და მხოლოდ მცირედი ნაწილი მიმართეს მედპერსონალსა და პაციენტებზე.

როგორც სერგეენკომ წამყვანი კლინიკების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე განაცხადა, ჯანდაცვის სამინისტრო ასეთ მიდგომას არ შეეგუება და ასეთ კლინიკებთან სამომავლოდ თანამშრომლობას არ გააგრძელებს.

– საყოველთაო ჯანდაცვა უდავოდ და დადასტურებულად მიჩნეულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროექტი, რომელმაც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მისცა შვება და დაიცვა ისინი. ალბათ გაიხსენებთ, რომ ამ 4 წლის განმავლობაში, ჯანდაცვის სამინისტროს არც ერთხელ გამოუყენებია რეპრესიული მეთოდები, სამაგალითო დასჯები და არც მომავალში ვაპირებთ ამის გაკეთებას. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო არ დაიცავს სახელმწიფო ინტერესებს.

ჩვენმა ასეთმა მიდგომამ რიგ კლინიკებს შეუქმნა მცდარი მოლოდინები. მათ დაიწყეს ზრუნვა იმაზე, რომ ეს თანხები დაეხარჯათ მენეჯმენტის კეთილდღეობასა და დივიდენდებზე და მინიმალური მიემართათ პაციენტებისთვის. ამის ატანას არც ვაპირებდით და არც ვაპირებთ მომავალში, – განაცხადა სერგეენკომ.

მინისტრმა კლინიკების მხრიდან არაპირდაპირი ხარჯვის კონკრეტული მაგალითები დაასახელა.

– ანალიზის შედეგად დავინახეთ, რომ იკვეთება კლინიკები, ჩვენ მიერ გადახდილი თანხების უდიდესი ნაწილი მიემართება ე.წ. არაპირდაპირი ხარჯებისკენ, რაც არის მენეჯმენტის და მმართველების მოგება და მინიმალური ნაწილი მიემართება პაციენტის მოვლისკენ, ექიმების, ექთნების და მედპერსონალის ანაზღაურებისკენ, ვინც უშუალოდ უვლის პაციენტებს, – განაცხადა მინისტრმა.

მან აღნიშნა, რომ ასეთ კლინიკებთან თანამშრომლობა არ გაგრძელდება.

– იკვეთება კლინიკები, რომლებმაც არარსებული ნონსენსი მოიფიქრეს და დააფუძნეს ისეთი ფრაგმენტული სერვისები, როგორც არის, მაგალითად, მხოლოდ რეანიმაციული განყოფილება – ქუჩიდან იღებენ პაციენტს და ქუჩაშივე უშვებენ. ასეთი ფრაგმენტული სერვისების მომწოდებლებთან ვერ ვიქნებით მომართულები, რომ გავაგრძელოთ ურთიერთობა, – აღნიშნა ბ-მა სერგეენკომ.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მოწესრიგებულად იხდის თანხებს, იკვეთება სიტუაციები, როდესაც თითქმის 90% გადახდილია მოთხოვნილი თანხის, 10% დარჩენილია როგორც სადავო და კლინიკის მენეჯმენტი ამას იყენებს საფუძვლად, რომ ექიმებს და ექთნებს უთხრას, რომ სახელმწიფო არ გვიხდის ფულს და ამიტომ გიგვიანებთ ხელფასებს.

– ამ დროს 90% გადახდილი გვაქვს და 10%-იც ძალიან მალე მოგვარდებოდა, რომ ამ კლინიკებთან საქმიანი ურთიერთთანამშრომლობა გვქონოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ვიქნებით მომართული, ასეთ კლინიკებთან გავაგრძელოთ ისეთივე ურთიერთობები, როგორც იყო, – განაცხადა მინისტრმა სერგეენკომ.

# ნაცმოძრაობა გაზპრომთან ხელშეკრულების გასაჯაროებას ითხოვს



ნაციონალური მოძრაობა გაზპრომთან ხელშეკრულების შინაარსის გასაჯაროების მოთხოვნით, პარლამენტს რეზოლუციით მიმართავს.

ამის შესახებ პარტიის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა განაცხადა.

პარტია სოლიდარობას უცხადებს არასამთავრობო სექტორს, რომელიც იდენტური მოთხოვნით მთავრობას მიმართავს.

– 20 წლის განმავლობაში ჩვენ გვქონდა ხელშეკრულება რუსეთთან, რომელიც სრულყოფილად ითვალისწინებდა საქართველოს ინტერესებს. ახლა ხელისუფლებამ ხალხის ზურგს უკან აწარმოა მოლაპარაკებები, რომლის შედეგები არის გასაიდუმლოებული და რაც აჩენს ძალიან დიდ ეჭვს, რომ ამ ხელშეკრულების მიხედვით ჩვენი ინტერესები არის დაზიანებული, – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

ნაციონალური მოძრაობა მოითხოვს ხელისუფლებისგან, გასაჯაროვდეს ამ დოკუმენტის შინაარსი.

– შეგვაქვს პარლამენტში სპეციალური რეზოლუცია ამ ხელშეკრულების შინაარსის გასაჯაროების მოთხოვნით და სოლიდარულები ვართ ქართულ საზოგადოებასთან და არასამთავრობო სექტორთან, რომელიც აყენებს ასეთ მოთხოვნას.

გვაქვს ძალიან საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესები, ხალხის ინტერესები არის დაზიანებული და ყველაფერი ეს ხელისუფლებამ ქართველი ხალხის ზურგს უკან გააკეთა, – აღნიშნა ბ-მა წიკლაურმა.

რუსეთიდან სომხეთში გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ, ქართული მხარე გაზპრომისგან გატარებული ბუნებრივი აირის მთლიანი მოცულობის 10%-ს იღებდა.

წინა კვირას ცნობილი გახდა, რომ ქართული მხარე სომხეთში გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ გაზპრომისგან ფულად ანაზღაურებას მიიღებს.

ახალი ხელშეკრულება ორწლიანი იქნება, რომლის თანახმად, პირველ წელს ნაწილობრივ ისევ რჩება ნედლეულით ანაზღაურების ფორმა, ხოლო შემდგომი წლიდან ფულადი ანგარიშსწორება გაგრძელდება

# მეანაბრეები „ემეფიქს ბროკერ ჯორჯიას“ თანხის მითვისებაში ადანაშაულებენ




საფინანსო კომპანია „საქართველოს“ შემდეგ, მეანაბრეები თანხების მითვისებაში კიდევ ერთ კომპანიას, „ემეფიქს ბროკერ ჯორჯიას“, ადანაშაულებენ.

გუშინ, 18 იანვარს, კომპანიის ოფისთან მათ აქცია გამართეს და საკუთარი თანხების დაბრუნება მოითხოვეს. დაზარალებულები აცხადებენ, რომ უკვე 2 თვეა კომპანია კუთვნილ თანხებს არ უხდის. ერთ-ერთი მეანაბრე მამუკა კაპანაძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ბოლო 2 თვის განმავლობაში კომპანიაში თანხის არგადახდის რამდენიმე მიზეზს ასახელებდნენ.

– ჯერ გვითხრეს, რომ კომპანიას ფინანსთა სამინისტრო ამოწმებს, მერე გვითხრეს, რომ აუდიტის სამსახური, შემდეგ მიზეზად მფლობელის შეცვლა დაასახელეს, მაგრამ ეს მიზეზები იყო გამოგონილი და ამით დროს აჭიანურებდნენ. რეალურად, კომპანიას აღარ უნდოდა ფულის გადახდა, ახლა გავიგეთ, რომ კომპანიის დირექტორმა საქართველო უკვე დატოვა. ჩვენ მივმართეთ უკვე პროკურატურას და დაველოდებით მათგან რეაგირებას, – განაცხადა მამუკა კაპანაძემ.

მისი განცხადებით, კომპანიას 300-ზე მეტი მეანაბრე ჰყავს, ანაბრის თანხის მოცულობა კი 5.000 დოლარიდან 100.000 დოლარამდეა.

„კომერსანტი“ შეეცადა „ემეფიქს ბროკერ ჯორჯიასთან“ დაკავშირებას, თუმცა მითითებულ ნომერზე არავინ გვიპასუხა. კომპანიის „ფეისბუქ“ გვერდზე კი აღნიშნულია, რომ ანაბრებზე კლიენტებს დოლარსა და ევროში წლიურ 36-45%-იან სარგებელს სთავაზობს. მინიმალური კაპიტალი კი 1.000 დოლარს შეადგენს.

კომპანიის ვებ-გვერდზე კი აღნიშნულია, რომ ჰოლდინგს გააჩნია 10-წლიანი გამოცდილება მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნის საფინანსო ბაზრებზე. ჰოლდინგის ოფისები მდებარეობს: რუსეთში, ჩინეთში, ვიეტნამში, მალაიზიაში, ინდონეზიაში, ეგვიპტეში, საქართველოში და სხვა ქვეყნებში. ჰოლდინგის ყოველთვიური ბრუნვა შეადგენს 60 მილიონ დოლარზე მეტს.

„საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელი გიორგი კეპულაძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ეს არის მორიგი ფინანსური პირამიდა და იმისათვის, რომ მოქალაქეები არ დაზარალდნენ, აუცილებელია ამ ბიზნესის კრიმინალიზება.

– როდესაც საფინანსო კომპანია „საქართველოს“ წინააღმდეგ მეანაბრეებმა საკუთარი თანხების დაბრუნება ვერ მოახერხეს, მაშინ ჩვენ ვთქვით, რომ ამას ექნებოდა დომინოს ეფექტი. ეს ხომ ჩვეულებრივი ფინანსური პირამიდაა. რეალურად გამოჩნდა, რომ „ემეფიქს ბროკერ ჯორჯიაში“ ხალხმა ფული ველარ შეიტანა, რადგან „საქართველოს“ შემდეგ შეშინებულები იყვნენ და მათ ფული დაუმთავრდათ.

იმისთვის, რომ ასეთი ფაქტები აღარ მოხდეს, აუცილებელია არა მარტო მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის ამაღლება, არამედ პირამიდა ბიზნესის კრიმინალიზება. ეს საქმიანობა უნდა გახდეს დასჯადი, სს კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილება და მსგავსი მოდელით საქმიანობა გახდეს დანაშაული. ამის შემდეგ შეეშინდებათ და ეს იქნება პრევენცია იმისა, რომ ასეთი კომპანიები სამომავლოდ აღარ ფუნქციონირებდნენ, – განუცხადა „კომერსანტს“ კეპულაძემ.

კეპულაძე ვერ ასახელებს, რამდენი ასეთი კომპანიაა ქართულ ბაზარზე.

მისი განცხადებით, ნაწილი ქსელური მარკეტინგის პრინციპით მუშაობს, ზოგი – საბროკერო და საშუამავლო ფირმების საფარქვეშ.

**კომერსანტ.გე**

# ზესტაფონში ქარის ელექტროსადგური აშენდება

ზესტაფონში ქარის ელექტროსადგურის აშენება იგეგმება.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი გეგმავს ინვესტორის მოძიებას, რომელთან ერთადაც დააფუძნებს საერთო საწარმოს ზესტაფონის ქარის ელექტროსადგურის პროექტის განვითარებისა და მშენებლობის მიზნით.

დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა გამოხატონ ინტერესი და წარადგინონ სატენდერო დოკუმენტაცია არაუგვიანეს 2017 წლის 20 თებერვლის 18:00 საათისა.

ქარის ელექტროსადგურის სავარაუდო პარამეტრებია: დადგმული სიმძლავრე – 150 მეგავატი; გამომუშავებული ელექტროენერგია – 478.2 მლნ. კვტ/საათი; ტურბინების რაოდენობა – 50 ერთეული; თითო ტურბინის დადგმული სიმძლავრე – 3 მეგავატი.

პროექტის ღირებულებაა 227 მლნ აშშ დოლარი.

დღეისათვის ამ პროექტისთვის არსებობს წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რომელიც იქნება სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ არაფულადი შენატანი საერთო საწარმოს საწესდებო კაპიტალში და შეფასებულია 40.000 ლარად.

საერთო საწარმოს თავდაპირველი საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს 400.000 ლარს.

ინვესტორთა შერჩევის ტენდერის გამოცხადებასთან ერთად, საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი აწესებს საპარტნიორო შეთანხმების სტანდარტულ პირობებს.

– ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა შესაძლოა მოპოვებულ იქნას დაინტერესებული პირის მიერ წერილობითი მოთხოვნის და გაუმჟღავნებლობის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, – ნათქვამია ფონდის ვებ-გვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაში.



# ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში საფინანსო საქმიანობის შესწავლა მიმდინარეობს



– ჩემი ბრძანებით, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში საფინანსო საქმიანობის ანალიტიკური შესწავლა მიმდინარეობს. დაახლოებით 2 კვირაში მექნება შესწავლის შედეგები, რის შემდეგაც მივიღებ გარკვეულ გადაწყვეტილებას.

ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელების“ მიერ დღეს გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა.

– ჩვენ, თავის დროზე მივიღეთ გადაწყვეტილება და როცა ბაღების თანამშრომლებს ჰქონდათ დაბალი ხელფასები, შეძლებისდაგვარად გავზარდეთ მათი შრომის ანაზღაურების მოცულობა. წელს, ვინაიდან ჩვენი კანონმდებლობით ოპტიმიზაცია ტარდება, შესაბამისად ოპტიმიზაცია ერთნაირად უნდა შეეხოს როგორც სააგენტოს მენეჯმენტს, ასევე შესაბამისად სხვა დასაქმებულ ადამიანებს. ასე რომ, ამაზე თბილისის მერიამ გარკვეული პოლიტიკა უკვე გაატარა და მომავალშიც გაგრძელდება მუშაობა.

ჩემი ბრძანებით, ბაღების სააგენტოში საფინანსო საქმიანობის ანალიტიკური შესწავლა მიმდინარეობს. ასე რომ, მე დაახლოებით 2 კვირაში მექნება შესწავლილი შედეგები, რის შემდეგაც მივიღებთ გარკვეულ გადაწყვეტილებას, – განაცხადა ნარმანიამ.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელები“ დედაქალაქის მერიას თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სახელფასო პოლიტიკის გადახედვისკენ მოუწოდებს.

თბილისის საკრებულოში ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის ხათუნა სამნიძის თქმით, ბაგა-ბაღების აღმზრდელების საშუალო ხელფასი 400-500 ლარია, იმ დროს, როდესაც სააგენტოს თანამშრომლების საპრემიო ფონდი 113.000 ლარით შემცირდა, თუმცა სააგენტოს ხელმძღვანელების სახელფასო ხარჯები არ შემცირებულა.

სააგენტოს დირექტორი და მისი მოადგილეები ყოველთვიურად ხელფასთან ერთად დანამატს იღებენ და ეს თანხა საშუალოდ თვეში 5.750 ლარს შეადგენს.

# უკრაინაში ქართველი სამხედრო დააკავეს

## რუსეთის სპეცსამსახურების მოთხოვნით

სამართალდამცავთა დაცვის ლიგის ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებისა და პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, 2017 წლის 15 იანვარს, კიევის ჟულიანის აეროპორტში, საქართველოს შს სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი ცერცვაძე დააკავეს.

როგორც ნიუპოსტს ლიგიდან აცნობეს, ცერცვაძეს აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული აფხაზეთსა და შიდა ქართლში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მიმდინარე ბრძოლებში, ხოლო 2008 წელს აქტიურად იბრძოდა საქართველოში შემოჭრილ ოკუპანტთა წინააღმდეგ.

განვლილ ბრძოლებში ის არაერთგზის იქნა დაჭრილი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი ცერცვაძე მოხალისედ იბრძოდა უკრაინის დონეცკის ოლქის ანტიტერორისტულ ზონაში და იქაც გამორჩეული გახლდათ რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილების წინააღმდეგ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში.

– აღსანიშნავია რუსეთის სპეცსამსახურების მკვეთრი გააქტიურება საქართველოს იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც თავისი მოღვაწეობით ეწინააღმდეგებოდნენ ოკუპანტი სახელმწიფოს ინტერესებს.

სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაცია, ხელოვნურად შეთითხნილი „საქმეებით", ახერხებს მათთვის არასასურველ, საქართველოს მოქალაქეთა „სამართლებრივ" დევნას – მათი ხელში ჩაგდების მიზნით, – ნათქვამია სამართალდამცავთა დაცვის ლიგის განცხადებაში.

ამ გააქტიურების ნათელი გამოხატულებაა რუსეთის მოთხოვნით, ლიტვის ტერიტორიაზე, საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის ზურაბ მაისურაძის დაკავება, რომელიც ვითარებაში სიღრმისეული გარკვევის შემდეგ, ლიტვის სასამართლოს მიერ განთავისუფლებული იქნა.

მაისურაძეს ლიტვაში თავისუფალი გადაადგილების უფლება მიეცა და ასევე განხილვის პროცესშია პოლიტიკური დევნილის სტატუსის მინიჭება.

– სამწუხაროდ, მაისურაძის ბედზე ზრუნვით თავი არც საქართველოს საგარეო საქმითა სამინისტროს და არც ლიტვაში საქართველოს საელჩოს არ შეუწუხებია.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ბატონი ცერცვაძის შემთხვევაში მაინც დაინტერესდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს საელჩო უკრაინაში და უკრაინის ხელისუფლებასთან მჭიდრო კონტაქტში, არ დაუშვებს საქართველოს მოქალაქის რუსეთისათვის გადაცემას, სადაც მას სასიკვდილო საფრთხე



# მცხეთის მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელს 6 წელი მიესაჯა



სასამართლომ მცხეთის მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელ ვახტანგ ყიფშიძეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ვახტანგ ყიფშიძე დამნაშავედ ცნო ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი თაღლითობის ორგანიზებაში, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და გადამეტებაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა", „ბ" და მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტებით, 332-ე მუხლის I ნაწილითა და 333-ე მუხლის I ნაწილით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ვახტანგ ყიფშიძემ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლად მუშაობის დროს ქ. მცხეთაში, ფიქრის გორაზე მდებარე სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე თაღლითურად, საკუთრების უფლების მიღების მიზნით, შექმნა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი და იმ მოტივით, რომ თითქოსდა აღნიშნული ჯგუფის წევრებს წლების განმავლობაში თვითნებურად ჰქონდათ მიწის ნაკვეთები დაკავებული, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, ქ. მცხეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს ყალბი ცნობები დაამზადებინა.

ასევე ვახტანგ ყიფშიძემ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით უკანონო დავალება მისცა მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მის თავმჯდომარეს, მიწის ნაკვეთებზე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების საკუთრების უფლებები ეღიარებინათ.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად ვახტანგ ყიფშიძემ და ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა 2008 წლის მარტში ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ქ. მცხეთაში, ფიქრის გორაზე მდებარე სახელმწიფოს კუთვნილ 1.297.800 ლარის ღირებულების 28.840 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთებზე თაღლითურად მიიღეს საკუთრების უფლება.

ვახტანგ ყიფშიძეს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 25-180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა", „ბ" და მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტებით (თაღლითობის ორგანიზება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით და ორგანიზებული ჯგუფის მიერ), 332-ე მუხლის I ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და 333-ე მუხლის I ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) წარედგინა.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ვახტანგ ყიფშიძე სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის გამოყენებით, საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, ჯარიმა 20.000 ლარის ოდენობით და საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით.

# ზაზა ხატიაშვილი: სასამართლოს მურუსიზაცია ხდება



ზაზა ხატიაშვილი მართლმსაჯულების რეფორმის ე.წ. მესამე ტალღას აკრიტიკებს.

მისი თქმით, ინსპექტორის ინსტიტუტი დადებითი მოვლენაა, თუმცა მის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა.

– როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო ლევან მურუსიძეს ირჩევდა, მოსამართლეებმა პრესკონფერენცია ჩაატარეს და ლევან მურუსიძეს ვაძლევთ ხმასო. მსოფლიოში არ არსებობს ფაქტი მეორე, როდესაც მოსამართლე წევრებს პრესკონფერენცია ჩაეტარებინოთ კენჭისყრის წინ. ამ იუსტიციის საბჭოს აძლევენ უფლებას, აირჩიონ ინსპექტორი, ანუ ე.წ. პატარა მურუსიძე, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

მისი თქმით, მესამე ტალღით მურუსიძეების ხელში გადადის მთელი ძალაუფლება.

– ვუთხარი პრეზიდენტს, თუ ბატონი პრეზიდენტი ვეტოს არ გამოიყენებს, იქნება საშინელება.... კატასტროფული ცვლილებები ხელს შეუწყობს იმას, რომ სასამართლოში მურუსიზაცია მოხდება, – განაცხადა ხატიაშვილმა.

საკანონმდებლო პაკეტი 2 დღის განმავლობაში ცნობილი გახდება.

# დეტექტივ-გამომძიებელმა ზურაბ ჭელიძემ ბრალი აღიარა

იმერეთის კრიმინალური პოლიციის ყოფილ უფროსთან ერთად დაკავებულმა დეტექტივ-გამომძიებელმა ზურაბ ჭელიძემ წარდგენილ ბრალში თავი დამნაშავედ ცნო.

აღნიშნულის შესახებ ბრალდებულმა გუშინდელ სასამართლო პროცესზე განაცხადა.

ჭელიძემ თავი დამნაშავედ ქრთამის აღებაში ცნო, რასაც მას გამოძიება ედავება. აქამდე ბრალდებული თავს უდანაშაულოდ მიიჩნევდა და წარდგენილ ბრალს არ აღიარებდა.



როგორც ჭელიძის ადვოკატმა ტარიელ კაკაბაძემ პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა, გამორიცხული არაა, დაცვის სტრატეგიიდან გამომდინარე, ბრალდებულმა პოზიცია კვლავ შეიცვალოს და დანაშაული კვლავ არ აღიაროს. მისივე თქმით, უფრო დეტალურად საუბარი შეეძლება მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ბრალდება შესავალ სიტყვას იტყვის და გაცხადდება, რა მტკიცებულებებით აპირებს ბრალდება მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის დანაშაულის დამტკიცებას.

პროკურორმა ელიზბარ გოზალიშვილმა კი აღნიშნა, რომ ბრალდებულის მხრიდან პირველად გაჟღერდა ბრალის აღიარება და თუ დაცვის მხრიდან იქნება შესაბამისი შუამდგომლობა, პროკურატურა მზადაა, საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკებები დაიწყოს.

პროკურორის თქმით, აქამდე არც ერთ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმებაზე საუბარი არ ყოფილა.

კრიმინალური პოლიციის იმერეთის სამხარეო სამმართველოს უფროსი გიორგი კაჭარავა წინასწარი შეთანხმებით დიდი ოდენობით ქრთამის გამოძალვის ბრალდებით 2016 წლის სექტემბერში დააკავებს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად კაჭარავასთან ერთად დააკავეს სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი ზურაბ ჭელიძე.

გამოძიების მტკიცებით, გიორგი კაჭარავამ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ფაქტზე მოწმის სახით დაბარებულ მოქალაქეს უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის გარანტად, ასევე იმავე ბრალდებით დაკავებული მისი ახლობლისათვის საპროცესო შეთანხმების გაფორმების უზრუნველსაყოფად გარკვეული თანხის გადახდა მოსთხოვა.

გიორგი კაჭარავას ბრალად ქრთამის აღება, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება, დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა და ასევე იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა ედება.

კრიმინალური პოლიციის იმერეთის სამხარეო სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელ ზურაბ ჭელიძეს კი გამოძიება მხოლოდ ქრთამის აღებას ედავება.

# ესპანეთში საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს




ესპანეთში საქართველოს მოქალაქე, 31 წლის ბექა ბექურიძე, გარდაიცვალა.

ცხედარი მისმა დამ გამთენიისას საცხოვრებელ ბინაში ნახა.

წინასწარი ინფორმაციით, გარდაცვალების სავარაუდო მიზეზი გულის შეტევაა.

ბექურიძე ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანიდან იყო.

როგორც ნიუპოსტს საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მას შემდეგ, რაც ოჯახი სპეციალურ მიმართვას შეიტანს საკონსულოში, გადმოსვენების ყველა ხარჯს სახელმწიფო დაფარავს.

# პროკურორი: „ლუბა ყოჩიაშვილის შემდეგ იგეგმებოდა ომარ ყოჩიაშვილის მოშორებაც"




ე.წ. კანიბალიზმის საქმეში ბრალდებულები 76 წლის ლუბა ყოჩიაშვილის სასტიკი მკვლელობის შემდეგ, ომარ ყოჩიაშვილის მკვლელობასაც გეგმავდნენ.

როგორც საქმის პროკურორმა თბილისის საქალაქო სასამართლოში სასამართლო სხდომაზე განაცხადა, საქმის მასალებში არსებული ბრალდებულების ჩვენებების თანახმად, დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბრალდებულების მიერ ირმა ყოჩიაშვილის მამის მოშორებაც იგეგმებოდა.

– ნათლად ჩანს, ამ ყველაფრის უკან რაც მოხდა – დანაშაულის დაფარვა, მისი არ გამოაშკარავება და, სამწუხაროდ, იქ არის ფაქტები და საუბარი, ანუ საუბარია ბრალდებულ ირმა ყოჩიაშვილის მამაზე და მის მოშორებაზეც, – აღნიშნა პროკურორმა.

17 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოში 76 წლის ლუბა ყოჩიაშვილის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობასა და მისი სხეულის ორგანოების სხვაგვარად გამოყენებაში ბრალდებულმა ირმა ყოჩიაშვილმა დედის მკვლელობა აღიარა.

ბრალდებულმა ირმა ყოჩიაშვილმა აღნიშნა, რომ იგი პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალში თავს დამნაშავედ სრულად ცნობს.

საქმეზე მეორე ბრალდებული ბექა შენგელია წარდგენილ ბრალს ნაწილობრივ აღიარებს.

– თავს ნაწილობრივ უდანაშაულოდ ვცნობ. მედავებიან ადამიანის სხეულის ორგანოების სხვაგვარად გამოყენებას, რაც არ ჩამიდენია. ის აღარ იყო ცოცხალი და მისი დანაწევრება მოხდა გვამის გადაადგილების მიზნით და არა რაიმე რიტუალური მიზნებისთვის, რაზეც არის საუბარი. ეს განსაკუთრებული სისასტიკე არაა. კი, სასტიკი ქმედებაა, როდესაც ადამიანს გაგუდავ, მაგრამ არა განსაკუთრებული, – აღნიშნა ბრალდებულმა.

შეგახსენებთ, რომ შს სამინისტრომ 76 წლის ქალის მკვლელობა 5 ნოემბერს გახსნა. მაშინ სამართალდამცავებმა 5 პირი დააკავეს. დაკავებულთაგან ერთი – 18 წლის გოგონა – მოკლულის შვილია, მეორე – გოგონას შეყვარებული, დანარჩენი 3 პირი კი – მათი მეგობრები.

გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულთაგან სამმა პირმა ლუბა ყოჩიაშვილი ელექტროშოკით გაგუდა, შემდეგ დანა ჩაარტყა, მოკლა და დაანაწევრა. დანაწევრებული გვამი გლდანში მდებარე გაუქმებულ ნაგავსაყრელზე 2 ჩანთით გაიტანეს, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

2017, 19 იანვარი, №15

## ტრამპის მრჩევლის კომპლიმენტმა კრემლი გააღიზიანა



დავოსში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გაიხსნა. მას ტრამპის მრჩეველი ენტონი სკარამუჩიც ესწრება. ის იმ ამერიკულ წრეებს განეკუთვნება, რომლებიც რუსეთთან დაახლოების მომხრენი არიან.

სკარამუჩი არაერთგზის აცხადებდა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები უნდა გაუქმდეს. დავოსში მან თავისი პოზიცია კიდევ ერთხელ დააფიქსირა:

– რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები არაეფექტურია. ისინი უნდა გაუქმდეს! – თქვა სკარამუჩიმ.

ტრამპის მრჩეველმა თავისი ერუდიციის დემონსტრირება მოახდინა და რუსულ მენტალიტეტზე დაწვრილებით ისაუბრა. სკარამუჩიმ აღნიშნა, რომ რუსები მეომარი, ამაყი ხალხია, რომელიც ზეწოლას ვერ იტანს.

– ისინი მზად არიან, თოვლი ჭამონ, ოღონდაც ქედი არ მოიხარონ, – თქვა სკარამუჩიმ.

ამ სიტყვებმა კრემლი გააღიზიანა. პუტინმაც ტრამპის მრჩეველს პასუხი თავისი პრეს-მდივნის პესკოვის მეშვეობით გასცა.

– რუსები არა თოვლს, არამედ სამამულო წარმოების დელიკატესებს მიირთმევენ, – განაცხადა პესკოვმა.

პუტინის თანაშემწემ ხაზი გაუსვა, რომ სკარამუჩის სიტყვები შეურაცხმყოფელია.

– რუსეთთან ასეთი ლაპარაკი დაუშვებელია, – თქვა მან და დაამატა, რომ ქვეყანა, რომელსაც რუსეთთან თანამშრომლობა სურს, ასეთი ტონით არ უნდა საუბრობდეს.

– ასე ბარის მეძავებს ან თქვენს ძმაკაცებს მიმართეთ! რუსეთს კი თქვენობით და მოწიწებით უნდა ესაუბროთ, – ამბობს პესკოვი.

ამ სიტყვებმა გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია. სენატორმა მაკეინმა აღნიშნა, რომ ახლა ბრმისთვისაც კი ცხადია, რომ რუსებთან მოლაპარაკება შეუძლებელია. პოლიტოლოგმა კლარკმა კი განაცხადა, რომ რუსები ავადმყოფი და დაკომპლექსებული ერია; მათი არაყისადმი ლტოლვაც ამით აიხსნება. შემთხვევითი როდია, რომ არაყს არა მხოლოდ მამაკაცები, რუსი ქალები და მოზარდებიც ეტანებიან.

– ალკოჰოლიზმი სერიოზული ფსიქიკური დაავადებაა. ზოგიერთ ასეთ ავადმყოფს უნდა დაუყვავო, ზოგს პირიქით, სცემო. რუსები მეორე კატეგორიას განეკუთვნებიან, – ამბობს კლარკი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნობის კანდიდატი რექს ტილერსონი მიიჩნევს, რომ რუსებს მხოლოდ ძალის ენა ესმით, მეგობრულ ოხუნჯობას ან თბილად მოპყრობას ისინი სისუსტედ აღიქვამენ და თავხედდებიან.

– ძალისმიერი ზეწოლის გარეშე რუსებთან ვერაფერს გავხდებით, – თქვა ტილერსონმა.

## პოროშენკო ტრამპს შეხვდება



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ მალე დონალდ ტრამპს შეხვდება.

– მე ერთ-ერთი პირველი ლიდერი ვიყავი, ვისაც ტრამპი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ტელეფონით დაუკავშირდა, – თქვა პოროშენკომ.

პოროშენკო-ტრამპის შეხვედრა თებერვალში გაიმართება. უკრაინელმა პოლიტოლოგმა ფისენკომ განაცხადა, რომ ეს მისასალმებელი ფაქტია.

– ბოლო მოელო სპეკულაციას თემაზე, თუ რა ორიენტაციისაა ტრამპი! უკვე ცხადია, რომ ის პროამერიკული ორიენტაციისა და ამიტომ ესმის, რომ უკრაინა აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორია, – აცხადებს ფისენკო.

## ევროპარლამენტს ახალი თავმჯდომარე ჰყავს



ევროპარლამენტმა ახალი თავმჯდომარე აირჩია. გერმანელი მარტინ შულცი იტალიელმა ანტონიო ტაიანიმ შეცვალა.

შულცი გერმანულ პოლიტიკაში ბრუნდება.

ტაიანი 1953 წელს რომში დაიბადა. ის განათლებით იურისტია. იყო ევროკომისარი, მრეწველობისა და ტრანსპორტის საკითხებში პარტია „წინ იტალია"-ს წევრი და სილვიო ბერლუსკონის პრეს-მდივანი.

## მოლდოვა ყირიმის რუსეთთან შეერთების კანონიერებას არ ცნობს

მოლდოვის ახლად არჩეული პრეზიდენტი იგორ დოდონი მოსკოვში ჩავიდა. პუტინთან მოლაპარაკება დახურულ კარს მიღმა გაიმართა. პრესკონფერენციაზე ორივე პრეზიდენტი ცდილობდა, კოლეგისადმი კეთილგანწყობის დემონსტრირება მოეხდინა. სიტყვა „თანამშრომლობა" სისტემატიურად ისმოდა.

– მოლდოვა რუსეთთან თანამშრომლობის გარეშე ვერ განვითარდება, – თქვა დოდონმა.

მოლდოვის პრეზიდენტმა არ გამორიცხა, რომ შეთანხმება ევროკავშირთან ასოცირების თაობაზე გაუქმდება.

– ასოცირების თაობაზე ხელშეკრულებამ ბევრი ვერაფერი მოგვცა, რუსული ბაზარი კი დავკარგეთ, – განაცხადა დოდონმა.





მიუხედავად ამისა, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ ორ ქვეყანას შორის უამრავი მოუგვარებელი პრობლემა არსებობს. ეს ნათლად გამოჩნდა თუნდაც მაშინ, როცა ერთ-ერთი ჟურნალისტი პუტინს დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარების შესახებ შეეკითხა.

– დნესტრისპირეთს ერთიანი მოლდოვის შემადგენლობაში განსაკუთრებული სტატუსი უნდა ჰქონდეს. ეს როგორც არმიის, პარლამენტის, ასევე გაეროში წარმომადგენლობის ყოლასაც ითვალისწინებს. საბჭოთა ეპოქაში უკრაინასა და ბელარუსს გაეროში წარმომადგენლობა ჰყავდათ, მაგრამ ისინი საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილები იყვნენ, – მიუგო პუტინმა.

მოლდოვის პრეზიდენტი ამ სიტყვებზე უკმაყოფილოდ შეიშმუშნა, თუმცა ხმამაღლა არაფერი უთქვამს. ამ დროს რუსმა ჟურნალისტმა ჰკითხა, არჩევნებამდე ყირიმს რუსეთის ნაწილად განიხილავდით და ამას ოფიციალურად როდის აღიარებთო.

– დონბასიცა და ყირიმიც უკრაინის განუყოფელი ნაწილებია. ჩვენთვის ეს საკითხი გარკვეულია, – თქვა დოდონმა.

მოლდოვის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პუტინმა მას აჩუქა რუკა, სადაც ნაჩვენებია, მე-18 საუკუნეში მოლდოვის სათავადოს შემადგენლობაში რა ტერიტორიები შედიოდა. იმჟამად მოლდოვას ეკუთვნოდა თანამედროვე ოდესის, აგრეთვე ვინიცის ოლქების ნაწილი.

– ისტორია ისტორიაა, დღევანდელობა – დღევანდელობა! გამორიცხულია, რომ უკრაინასთან ტერიტორიული პრეტენზიები გვქონდეს, – განაცხადა დოდონმა.

## სტამბულელი მსროლელი დაკავებულია



თურქეთის პოლიციამ დააპატიმრა ტერორისტი, რომელმაც ახალ წელს სტამბულის ერთ-ერთ ბარში სროლა ატეხა.

მისი გვარია მუშარაპოვი. ის უზბეკეთის მოქალაქე და ისლამური სახელმწიფოს წევრია. მუშარაპოვი სტამბულის ერთ-ერთ სახლში თავის მეგობართან იმალებოდა. პოლიციამ სწორედ იქ აიყვანა.

მუშარაპოვი 1985 წელს დაიბადა. ის განათლებული ადამიანია. ფლობს 4 ენას, შესანიშნავად ერკვევა ისტორიაში, ლიტერატურაში. ისლამისტი ექსტრემისტების ბანაკში სპეციალური მომზადება გაიარა, რის შემდეგაც სტამბულში ტერაქტი განახორციელა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ამერიკელის ნაპოვნმა ლატარიის ბილეთმა მილიონი დოლარი მოიგო





ამერიკელმა დაკარგული ლატარიის ბილეთი იპოვა, რომელმაც მილიონი დოლარი მოიგო.

ორეგონის შტატის მცხოვრებმა ჯომელ პანისამ იპოვა კონვერტი, რომელშიც გასული წლის იანვარში შეძენილი ლატარიის ბილეთი იდო, როდესაც ოფისში ქაღალდებს ალაგებდა.

პანისას გაახსენდა, რომ ტელევიზორში აცხადებდნენ ლატარიაში დიდი მოგების თაობაზე, რომლის მისაღებად არავინ გამოცხადებულა. მან თავისი ნაპოვნი ბილეთი შეამოწმა და აღმოჩნდა, რომ მილიონი დოლარი ჰქონდა მოგებული.

მოგების მისაღებად მას თითებზე ჩამოსათვლელი დღეები რჩებოდა. 2017 წლის 17 იანვარს მის მიერ მოგებული ფული ორეგონის ეკონომიკური განვითარების ფონდს გადაეცემოდა.

ლატარიის გათამაშების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მისი არსებობის ექვსი წლის მანძილზე, ასეთი დიდი მოგება მხოლოდ ოთხმა ადამიანმა მიიღო.

## ამერიკელმა 100 წლის წინ გატანილი წიგნი ბიბლიოთეკას დაუბრუნა



ამერიკელმა უებ ჯონსონმა სან-ფრანცისკოს ბიბლიოთეკას დაუბრუნა წიგნი, რომელიც იქიდან 100 წლის წინ იყო გამოტანილი.

ფრენსის ჰოპკინს სმიტის მოკლე მოთხრობების კრებული „40 წუთის დაგვიანებით" 1917 წელს უებ ჯონსონის ბებიამ ფიბი უებმა გამოიტანა ბიბლიოთეკიდან. მან წიგნი 1996 წელს აღმოაჩინა და გაარკვია, რომ ბებია წიგნის დაბრუნების ვადის გასვლამდე ერთი კვირით ადრე გარდაიცვალა. მაშინ ჯონსონმა წიგნი ბიბლიოთეკაში არ მიიტანა, ვინაიდან გადაწყვიტა, რომ ამდენი წლის შემდეგ ის ოჯახის საკუთრება გახდა.

თავის მხრივ, ბიბლიოთეკას მამაკაცი არ დაუჯარიმებია ვადის გადაცილებისთვის, ვინაიდან იმ წიგნების დაბრუნების აქციას ატარებს, რომლებიც მკითხველებს დროულად არ დაუბრუნებიათ.

## ობამას შვილმა მაიამიში ბაიდენის შვილიშვილთან ერთად დაისვენა





აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ქალიშვილმა მაიამიში ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის შვილიშვილთან ერთად დაისვენა.

საშა ობამა და მეისი ბაიდენი დიდი ხანია მეგობრობენ, ისინი ხშირად თამაშობენ ერთად კალათბურთს, ფეხბურთს. ახლა კი მაიამიში დასასვენებლად წასულს ბაიდენიც თან ახლდა.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი გასეირნების დროს, 15 წლის საშა ობამას ეცვა მაისური, რომელზეც ლეიბლ რეპერი დრეიკი იყო გამოსახული. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მუსიკოსმა პრეზიდენტის ქალიშვილთან გადაღებული ფოტოსურათი გამოაქვეყნა და მისი მოდური სტილი შეაფასა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

### მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ჯაბა ლიპარტია: „საქართველოდან უკრაინაში საჩუქრების გარეშე ვერ ჩავდივარ“



ზამთრის შვებულების შემდეგ საქართველოს ნაკრებისა და ლუგანსკის ზარიას ნახევარმცველმა ჯაბა ლიპარტიამ უკრაინულ მედიასთან ისაუბრა.

**ჯაბა ლიპარტია:**

— ძალიან კარგად დავისვენე, შვებულება ნაყოფიერად გავატარე. ძირითადად, ოჯახის წევრების გარემოცვაში და ჩემთვის ახლო ადამიანებთან ვიყავი. ახლა მუშაობის დაწყებისა და სეზონის დარჩენილ ნაწილზე ფიქრის დრო დადგა.

***— ფეხბურთელისთვის რას ნიშნავს ზამთრის შეკრება?***

— კარგი დასვენების შემდეგ ახალი მოსამზადებელი ეტაპი იწყება. ნებისმიერ ფეხბურთელს ესმის, რომ ამის გარეშე ძნელია. კარგი მომზადების გარეშე მთელი ჩემპიონატის გაძლება რთულია. ამიტომ შეკრება პროფესიონალი სპორტსმენის ცხოვრების განუყოფელი პროცესია.

***— ტრადიციულად შვებულების დროს საქართველოში ჩადიხარ. ამჯერადაც ასე მოხდა?***

— როდესაც სახლში წელიწადში ორჯერ ხარ, ასეთ პერიოდებს ძალიან აფასებ. ნათესავებთან რაც შეიძლება მეტი დროის გატარების სურვილი ჩნდება. ტრადიცია არ შემიცვლია. საქართველოში ვიყავი და ქვეყნის კურორტებს ვეწვიე. ახალ წელს მშობლებთან თბილისში შევხვდი. ძმის მსგავსად, ოჯახთან ერთად ვიყავი. შემდეგ ხუთივე ბავშვი მშობლებს დავუტოვეთ და აღნიშვნა გავაგრძელეთ.

***— თქვი, რომ საქართველოს კურორტებზე იყავი. რა ადგილები მოინახულე?***

— ცნობილი კურორტი ბაკურიანი. რამდენიმე დღე კახეთშიც გავატარე.

***— თუ არ ვცდები, მეორე რეგიონი ღვინით გამოირჩევა.***

— რასაკვირველია. შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესო ღვინოს სწორედ კახეთში ამზადებენ.

***— რომელიმე თანაგუნდელს კახეთიდან საჩუქარი თუ ჩამოუტანე?***

— ამის გარეშე არ იქნებოდა.

***— ახლობლებიდან ყველა მოინახულე?***

— სამწუხაროდ, ვერა. იმდენი ნათესავი მყავს, ისინი შვებულების ყოველ დღეს რომ მენახა, საკმარისი დრო მაინც ვერ მექნებოდა. მაშინ დასვენება მთელი წელი მომიწევს.

***— შენთვის ოჯახი და ახალი წელი ერთი შემადგენელი ნაწილია?***

— რა თქმა უნდა. ახალ წელს მშობლების გარეშე არასდროს შევხვედრივარ. ეს ის დროა, როცა ყველანი ერთმანეთს სახლში ვხვდებით. შემდეგ კი, როგორც წელს იყო, სადმე მივდივართ.

***— სურვილი ჩაიფიქრე?***

— კი, მაგრამ არ გავამხელ.

# დინამომ შეკრება თურქეთში დაიწყო



დინამო თბილისი ზამთრის შეკრების გასამართად თურქეთის ქალაქ ლარაში გაემგზავრა. გუნდმა მსუბუქად ივარჯიშა, ხოლო პირველ კვირას ფიზმომზადების გაუმჯობესებაზე იზრუნებს, 25 იანვრიდან კი ტესტ-მატჩებშიც ჩაერთვება.

თურქეთში ჩასულ დედაქალაქელებს ვიაჩესლავ გროზნი თავისი სამწვრთნელო შტაბით დახვდა. ადგილზევე შეუერთდა გუნდს უკრაინელი მეკარე სერგი ლიტოვჩენკო, რომელმაც დინამოსთან 1+2 სისტემით გააფორმა კონტრაქტი. დინამოელებს თურქეთში წასვლამდე სხვადასხვა გუნდებიდან ასევე შეუერთდნენ: ლაშა თოთაძე (საბურთალო), ოთარ კვერნაძე (ტორპედო) და ალექსანდრე გამცემლიძე (დილა).

25 იანვარს დინამო სლოვაკურ ჟილინას დაუპირისპირდება, 28 იანვარს დედაქალაქელთა მეტოქე რუსული ტომი იქნება, 1 თებერვალს კი — მაკედონიური რაბოტნიჩკი, ხოლო 4 თებერვალს რუსული ორენბურგი გაუწევს სპარინგ პარტნიორობას.

თბილისელები 5 თებერვალს დაბრუნდებიან სამშობლოში. 11 თებერვლიდან კი მეორე შეკრებაზე გაემგზავრებიან.

# საქართველოს ნაკრებს ვარჯიშზე გრიგალაშვილი გამოაკლდა



საქართველოს ეროვნული ნაკრები ამხანაგური მატჩების მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში ორჯერად ვარჯიშებს ატარებს. ვლადიმირ ვაისის ხელმძღვანელობით, ნაკრები თბილისში, ანდრო ჟორდანიას სახელობის დინამოს საწვრთნელ ბაზაზე ემზადება.

შემადგენლობას თბილისის საბურთალოს წევრი თედორე გრიგალაშვილი ტრავმის გამო გამოაკლდა. ნაკრები დედაქალაქში მზადებას 19 ფეხბურთელით განაგრძობს.

ნაკრებში გამოძახებული ორი ლეგიონერი, ყაზახეთის ატირაუს ფეხბურთელები, ვლადიმერ დვალიშვილი და უჩა ლობჟანიძე გუნდს დუბაიში შეუერთდებიან.

ნაკრებში პირველად არის გამოძახებული საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი ბუდუ ზივზივაძე.

# გორის დილა ახალ ეტაპზე გადის



როგორც ჩანს, საფეხბურთო კლუბ გორის დილასა და მის ახალ მფლობელ არიელ ავრამს ახალ სეზონში სერიოზული გეგმები ექნებათ. შიდაქართლურმა კლუბმა სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ ახალი მთავარი მწვრთნელი, ებრაელი სპეციალისტი ზივ აბრაამ არიე წარადგინა.

ზივ არიე 45 წლისაა. ბოლოს იერუსალიმის ბეითარის მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა, მანამდე კი მაკაბის 19-წლამდელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო და მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 2015-16 წლების სეზონში ჩემპიონატში მე-2 ადგილი დაიკავა.

ახალი მწვრთნელის გარდა, დილას 2 ბრაზილიელი ლეგიონერიც გააძლიერებს. კლუბთან კონტრაქტი ლეანდრო რიბეირომ და ჟეან დერეტმა გააფორმეს.

დერეტი 23 წლისაა და ამპლუით ნახევარმცველია. კარიერის განმავლობაში მას ფიგუეირენშეს, გრემიოს, ჟუინვილესა და მოგი მირიმის შემადგენლობაში უთამაშია. ჟუინვილესთან ერთად ბრაზილიის ჩემპიონატის სერია ბ მოიგო, ამასთანავე ლიბერტადორესის თასზეც ითამაშა.

22 წლის რიბეირო თავდამსხმელია და თავის დროზე ბრაზილიური ინტერნაციონალის, აროუკას, გლორიასა და ვილა ნოვას ღირსებას იცავდა.

# ოთარ კაკაბაძე: “დანიაში გადასვლაზე აზრი სხირტლაძეს და ვაწაძეს ვკითხე“



საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სათამაშო პრაქტიკას. სწორედ არასაკმარისი სათამაშო დროის გამო, ფეხბურთელები სანაკრებო მატჩებს სრულ მზადყოფნაში ვერ ხვდებიან.

ერთ-ერთი მათგანი ოთარ კაკაბაძეა, რომელმაც ბოლო მატჩები ითამაშა მარჯვენა მცველის პოზიციაზე, მაგრამ ესპანური ხიმნასტიკის შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა. ამიტომაც იყო, როდესაც დანიურმა ესბიერგმა ესპანელებს ფეხბურთელის იჯარაზე მიმართა, თავად კაკაბაძეს რომ გაუჩნდა სურვილი, დანიაში გადასულიყო.

კაკაბაძის დანიური კარიერა უკვე დაწყებულია, სადაც კიდევ 6 თვის განმავლობაში ითამაშებს და იბრძოლებს, რათა მუდმივი სათამაშო დრო ჰქონდეს.

21 წლის მცველი კლუბის შეცვლით ბედნიერია და იმედი აქვს, რომ დანიურ გუნდს ჩემპიონატში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარება.

**ოთარ კაკაბაძე:**

— ვფიქრობ, ესბიერგი საუკეთესო ადგილია ჩემი შესაძლებლობების წარმოსაჩენად, თუ ვიმუშავებ სათანადოდ და მაქსიმუმს გავიღებ. გარდა ამისა, თამაშებში ყველაფერს ვიზამ, რათა ბოლომდე დავეხმარო ესბიერგს და სუპერლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ. ვფიქრობ, ამის მიღწევა შეგვიძლია.

სანამ ახალ გუნდს ავირჩევდი, დავით სხირტლაძესა და მათე ვაწაძეს დავურეკე, რომელთაც დანიაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ. მათ აქაურობაზე ყველაფერი კარგი მითხრეს და ველოდები, როდის შედგება ჩემი დებიუტი.

## შედეგები

**17 იანვარი**

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| განა-უგანდა | 1:0 |
| მალი-ეგვიპტე | 0:0 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| კატარი-მოლდოვა | 1:1 |

**იტალია. თასი**

| | |
|---|---|
| ინტერი-ბოლონია | 3:2(დდ) |

**ბელგია. თასი**

| | |
|---|---|
| ოსტენდე-გენკი | 1:1 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# მემფის დეპაი ლიონში გადადის



მანჩესტერ იუნაიტედის ჰოლანდიელი ფეხბურთელი მემფის დეპაი შესაძლოა უახლოეს მომავალში ფრანგულ ლიონში აღმოჩნდეს.

დეპაი ჟოზე მოურინიოს გეგმებში არ შედის, ამიტომ მანჩესტერი მის გაყიდვას ცდილობს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დეპაი უკვე შეუთანხმდა ლიონს და ახლა ჯერი მანჩესტერზეა, რომელსაც სარფიანად სურს ჰოლანდიელი ფეხბურთელის გაყიდვა.

ლიონი მანჩესტერს 17 მილიონ ევროს სთავაზობს, ეს თანხა კი ინგლისურ კლუბს ეცოტავება.

სავარაუდოდ, მანჩესტერი დეპაის ადრე თუ გვიან მაინც გაყიდის.

# მანჩესტერ იუნაიტედი ანტუან გრიზმანს ყიდულობს



მანჩესტერ იუნაიტედი მადრიდის ატლეტიკოს ფრანგი ფორვარდის ანტუან გრიზმანის ყიდვასთან ახლოს არის.

გრიზმანი დაინტერესებულია მანჩესტერში გადასვლით, რადგან მას ინგლისის ჩემპიონატში თამაში სურს. უფრო მეტიც, მანჩესტერში გრიზმანს უკვე ნომერს ურჩევენ და მის პირად კონტრაქტზე მუშაობენ.

მადრიდის ატლეტიკო გრიზმანში 70 მილიონ ფუნტ სტერლინგს ითხოვს და ამაზე ნაკლებად თავისი ფრანგი ფორვარდის გაშვებას არ აპირებს.

გრიზმანი ატლეტიკოში 2014 წელს გადავიდა და მას შემდეგ ის გუნდის საუკეთესო ბამბარდირია.

# ჯაკომო ბონავენტურამ მილანთან კონტრაქტი გაახანგრძლივა



მილანის ერთ-ერთმა წამყვანმა ნახევარმცველმა ჯაკომო ბონავენტურამ გუნდთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ახალი კონტრაქტის მიხედვით, ბონავენტურა მილანის ღირსებას 2020 წლამდე დაიცავს, ანაზღაურების სახით კი წელიწადში 2 მილიონ ევროს მიიღებს.

ბონავენტურა მილანში 2015 წლის იანვარში ატალანტადან გადავიდა და მას შემდეგ ის გუნდის შეტევაში წამყვან როლს თამაშობს.

სულ მილანში ბონავენტურას ანგარიშზე 105 ჩატარებული შეხვედრა და 20 გატანილი გოლია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# გულის იშემიური დაავადება — კაცობრიობის პირველი მკვლელი

ეკა ირემაშვილი

მიოკარდიუმის ინფარქტი გულის იშემიური დაავადებების ერთ-ერთი უკიდურესი გამოვლინებაა. გულის იშემიური დაავადება ყველაზე გავრცელებული პათოლოგიაა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

მოიკარდიუმის ინფარქტთან და რისკებთან დაკავშირებით, „ახალ თაობას" თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის თერაპია-კარდიოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი კახაბერ ჭელიძე ესაუბრა.




**კახაბერ ჭელიძე:**

– მიოკარდიუმის ინფარქტი არის გულის იშემიური დაავადებების ერთ-ერთი უკიდურესი გამოვლინება. გულის იშემიური დაავადება ყველაზე გავრცელებული პათოლოგიაა მთელ მსოფლიოში და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი ქვეყნის მონაცემები სტატისტიკურად თანხმობაშია ზოგადი პოპულაციის მონაცემებთან. სამწუხაროდ, მრავალი ათეული წლის მანძილზე გულის იშემიური დაავადება არის და იქნება კაცობრიობის პირველი მკვლელი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ყოველწლიური სტატისტიკის მიხედვით, ეს დაავადება მკვლელთა შორის პირველ ადგილზე დგას.

***– სტატისტიკა მზარდია?***

– დიახ. რაც დრო გადის, უფრო მეტია. 2030 წლისთვის 1,5 ჯერ ზრდის პროგნოზი კეთდება, ეს არის ყველაზე მოკრძალებული პროგნოზი გულის იშემიური დაავადებისთვის.

***– რა არის მიოკარდიუმის ინფარქტი?***

– რაც შეხება მიოკარდიუმის ინფარქტს, ეს არის გულის კუნთის სიკვდილი, მისი მომმარაგებელი სისხლძარღვის დახშობის გამო. ეს შეიძლება განპირობებული იყოს ათეროსკლეროზით, ეს ყველაზე გავრცელებული მიზეზია, თუმცა შეიძლება ათეროსკლეროზულადაც არ იყოს შეცვლილი გულის მკვებავის სისხლძარღვი ანუ გვირგვინოვანი არტერიები და იქ მოხდეს სპაზმი, ან ემბოლიზაცია, დაცობა ან აიროვანი ან ცხიმოვანი ემბოლიით, ან სხვა ადგილიდან წამოსული თრომბული მასით... ბევრი სხვადასხვა მიზეზი არსებობს სისხლის მომარაგების შეწყვეტის. შედეგები სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, დაწყებული მხოლოდ ტკივილის არსებობით, ინდივიდის გარდაცვალებით დამთავრებული. თუ საკმაოდ დიდი უბანი ჩაერთო ამ პროცესში, შეიძლება უეცარი სიკვდილიც კი განაპირობოს.

***– რა სიმპტომები ახასიათებს?***

– სხვადასხვანაირად აღწერენ პაციენტები, მაგრამ კლასიკური სიმპტომებია მკერდის ძვლის უკან მოჭერითი ზეწოლითი ტკივილი. ჰაერის უკმარისობა, შეიძლება ახლდეს ოფლი, ან არ ახლდეს ოფლი, სიკვდილის შიში, სხვადასხვა ტიპის გადაცემით, შეიძლება იყოს კისერში, ყბაში, თუმცა არის სიტუაციები, როცა ტკივილით კი არ გამოიხატება, არამედ მისი ეკვივალენტებით – მხოლოდ და მხოლოდ კარდიალური ასთმის შეტევა შეიძლება განვითარდეს და ამ დროს ინფარქტი იყოს ტკივილის გარეშე. კიდევ ერთი ჯგუფია პაციენტების გამოსაყოფი, განსაკუთრებით ეს გახლავთ დიაბეტით დაავადებული პაციენტები, სადაც ტკივილი შეიძლება არც იყოს.

***– ასაკობრივი ზღვარი არსებობს?***

– ნებისმიერ ასაკში შეიძლება განვითარდეს, მაგრამ ძირითადად ეს არის ცხოვრების მესამე დეკადიდან ზემოთ, ვგულისხმობ 30 წელს და ზემოთ. რაც უფრო ზემოთ არის ასაკი, მით უფრო მაღალია რისკი. მამრობითი სქესი უფრო მაღალი რისკის შემცველია, ქალბატონებისთვის მაღალი რისკი განსაკუთრებით კლიმაქტერულ პერიოდშია.

***– რისკ ფაქტორებზე რას იტყვით?***

– სხვადასხვა რისკ ფაქტორებია, არტერიული ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი, სიმსუქნე, უმოძრაობა, დამჯდარი ცხოვრების რიტმი, თამბაქო. აუცილებელია ყოველთვის ყურადღებით ყოფნა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოველდღე აკონტროლო საკუთარი თავი, თუმცა იმედია, ჩვენთანაც ამაღლდება კულტურა იმ დონეზე, რომ ნებისმიერი ჩვენი მოქალაქე წელიწადში ერთხელ ან, უკეთეს შემთხვევაში, ორჯერ მაინც ჩაიტარებს სხვადასხვა სკრინინგულ გამოკვლევებს, რაიმე დაავადება ხომ არ არის დაწყებული. ჩვენი წესია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება, სჯობს, სანამ ურემი გადაბრუნდება, მანამდე გამოვიჩინოთ ყურადღება.

***– რა არ უნდა გააკეთოს პაციენტმა, რომ ინფარქტისგან თავი დაიცვას?***

– ერთადერთი, რისი გამოსწორებაც არ შეიძლება, ეს არის გენეტიკური წინასწარ განწყობა, სქესი და ასაკი. დანარჩენი შაქრიანი დიაბეტის მკურნალობა, არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობა და სიმსუქნის რეგულირება შესაძლებელია. სიმსუქნის რეგულირებაში არც ერთ შემთხვევაში არ იგულისხმება სწრაფი კლება, არამედ ნელი კლება. ეს არის აქტიური ცხოვრების წესი, კვირაში მინიმუმ 300 წუთი ფიზიკური დატვირთვა. ეს არის პირველ რიგში ფეხით სიარული და არა სირბილი და ფიტნეს კლუბებში ტრენაჟორებზე ვარჯიში. სრულიად ახალი მონაცემებია კვლევების გამოქვეყნებული და აღმოჩნდა, რომ არავითარი აზრი არ აქვს 300 წუთი ფიზიკურ დატვირთვას, თუკი ადამიანი დღის განმავლობაში 8 საათი მაინც ზის. ასეთ ადამიანს გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკი ზუსტად ისეთივე აქვს, როგორც უმოძრაო და არააქტიურ ადამიანს.

***– ძილი რამდენად მნიშვნელოვანია?***

– რა თქმა უნდა, მულტიფაქტორულია, ბევრი ფაქტორია, რომელიც მოქმედებს, თორემ ძილი, კომუნიკაციური პრესინგი, იგულისხმება მობილურები, კომპიუტერი, დროის უკმარისობა, სხვადასხვა შფოთვითი აშლილობები, ფსიქოლოგიური სტრესები, სხვადასხვა ტიპის რადიაციები, საკვები, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, უამრავი რამ ახდენს გავლენას.

როცა პაციენტი დაგვიანებით მოდის, ჩვენ მხოლოდ შედეგებს ვებრძვით და არა მიზეზს. სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში ექიმთან ვიზიტი დაგვიანებულია. ამიტომ მე და ჩემმა მეგობარმა კარდიოლოგმა ზურაბ კლიმიაშვილმა გავაკეთეთ გულ- სისხლძარღვთა დაავადებების პრევენციის და რეაბილიტაციის ასოციაცია და მაქსიმალურად ვცდილობთ, პირველ რიგში ეს ექიმებამდე დავიყვანოთ, რომ მათ აიძულონ პაციენტები, დროულად მიხედონ თავს. იმიტომ, რომ ერთმანეთის გვერდში დგომის გარეშე ეს პრობლემა არ გადაიჭრება.

***– რას ურჩევდით ჩვენს მკითხველს?***

– ჩემი რჩევა ინფარქტის საშიშროებიდან გამომდინარე ის არის, რომ გულ- მკერდის არეში არსებული ტკივილის შემთხვევაში, თუ ეს უეცრად აღმოცენდა და სუნთქვის უკმარისობა, წნევის ვარდნა ახლავს, აუცილებელია ექიმთან ვიზიტი. პირველივე ტკივილის დროს ექიმია საჭირო და არ უნდა დაელოდონ განმეორებით ტკივილს. საყოველთაოდ გავრცელებული ქართული სენია, როცა კუჭის არეშია ტკივილი, ეს შეიძლება ხდებოდეს დიაფრაგმული ლოკალიზაციის ინფარქტის დროს, ანუ გულის ქვედა კედლის ან უკანა კედლის ტკივილი არა მკერდის ძვლის უკან, არამედ კუჭის მიდამოშია, კუჭის ამორეცხვა. ჩემი რჩევა იქნება თვითშემოქმედებებისგან თავის არიდება, კვალიფიციური სამედიცინო დახმარება და არავითარი თვითმკურნალობა. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მანამდე წინამორბედი ჩივილები იყო, ზოგადად სტენოკარდიის გამოვლინებები, ასეთი პაციენტები განსაკუთრებით ყურადღებით უნდა იყვნენ. თუმცა შეიძლება ინფარქტი მოწმენდილ ცაზეც გაჩნდეს. დაავადება მანამდე არის დაწყებული, მაგრამ სიმპტომატიკა არ ჰქონდა და არ აქცევდა ყურადღებას, ან იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ყურადღების მიღმა დარჩა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## კალეიდოსკოპი



### ზიმბაბველ მოზარდს წინადაცვეთის გაკეთების მცდელობამ საავადმყოფოში ამოაყოფინა თავი

ზიმბაბვეში მოზარდი მას შემდეგ აღმოჩნდა საავადმყოფოში, როდესაც შეეცადა, წინადაცვეთა თავადვე გაეკეთებინა მაჩეტეს გამოყენებით.

მოზარდმა ასეთი ნაბიჯი ახლობლების მხრიდან დაცინვის გამო გადაწყვიტა. ისინი მას დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ წინადაცვეთის გარეშე ის გოგონას ვერასოდეს ნახავდა.

იმის მაგივრად, რომ პროფესიონალისთვის მიემართა, მოზარდმა მაჩეტე აიღო და შეეცადა თავად ჩაეტარებინა ქირურგიული პროცედურა, მაგრამ დიდ დანას ვერ მოერია და დაზიანებები მიიყენა.

დაშავებული მოზარდი ქალაქ ბულავაიოს წმინდა ლუკას საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა მას პირველადი დახმარება აღმოუჩინეს და ოპერაცია დაასრულეს. ორი დღის შემდეგ მოზარდი საავადმყოფოდან გამოწერეს და ის სახლში დაბრუნდა.

### ძაღლის თავდასხმის შემდეგ სახეზე იარებიანი მოდელი კარიერას აგრძელებს



ბრიტანელი მოდელი შენონ კლარკი, მიუხედავად სახეზე გაჩენილი იარებისა, რომელიც მას ძაღლის თავდასხმის შემდეგ დარჩა, კარიერის გაგრძელებას გეგმავს.

2016 წლის ივლისში კლარკი თავისი სახლის სიახლოვეს შეეჩეხა უცნობ მამაკაცს, რომელიც ძაღლს ასეირნებდა. როდესაც გოგონა შეეცადა ცხოველს მოფერებოდა, მან კბილები სახეში ჩაასო.

ძაღლის კბილებმა მოდელის ტუჩებსა და ნიკაპზე ღრმა ნაკვალევები დატოვა. კლარკი შიშობდა, რომ სახეზე შესამჩნევი იარები მას სამოდელო კარიერის გაგრძელებაში ხელს შეუშლიდა.

ექვსი თვის შემდეგ, მან ფეისბუქში განაცხადა, რომ მიუხედავად თავისი შიშისა, საქმე არც ისე ცუდად მიდიოდა. მისი თქმით, იარები ძალიან კარგად ხორცდება და მას ისევ იწვევენ გადაღებებში მონაწილეობის მისაღებად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი
### 19 იანვრისათვის



**ვერძი** – შემოქმედებით აღმავლობას ელოდეთ. რეალობას რომანტიკულად აღიქვამთ. წარმატება თავდაჯერებულობას შეგმატებთ. **კურო** – ბედი საჩუქარს გიმზადებთ, რომელიც, სავარაუდოდ, ფინანსებს უკავშირდება. ეჭვიანობა უკუაგდეთ. **ტყუპები** – გაწონასწორებული, მშვიდი დღეა. თამამად გარისკეთ. წარმატება არ დააყოვნებს. **კირჩხიბი** – ჰარმონიული დღეა. ძველ მეგობრებთან შეხვედრა გაგახალისებთ. ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. **ლომი** – საქმიანი მოლაპარაკებებისათვის ეს დღე იღბლიანია. თქვენი ინტერესები არ დაზარალდება. **ქალწული** – საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოვლენილი ნეგატივი პირად ცხოვრებაზეც აისახება. მოსალოდნელია ძველი კავშირების რღვევა. **მორიელი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ქალებს ფორტუნა გიღიმით. ინტიმურ სფეროში იმარჯვებთ. **მშვილდოსანი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **თხის რქა** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **თხის რქა** – ცვლილებების დრო არ არის. სერიოზული საკითხების მოგვარებას დღეს პლანეტები არ გირჩევენ. **მერწყული** – ეს დღე ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ნუ გადაიღლებით. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე. **თევზები** – გლობალური გადაწყვეტილებების მისაღებად სხვა დრო შეარჩიეთ. ეცადეთ, მხოლოდ მსუბუქი საქმეებით დაკავდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ხორბლის ქართული ჯიში; 2. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 3. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 4. ხელჩართული ორთაბრძოლის ქართული სკოლა; 5. თაფლიანი ფიჭა; 9. ქართული ტელეკომპანია; 11. მოოქროვილი ვერცხლის ნაკეთობა; 12. შტატი აშშ-ში; 14. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 18. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 19. დამანგრეველი ძალის ქურვი.

**თარაზულად:** 4. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 5. ბრტყელი ლოკოკინა; 6. ხელოვნების მუზეუმი მილანში; 7. ივნისის თვის ქართული სახელწოდება; 8. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 10. რაიმე ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა; 13. კაზაკთა სოფელი; 15. კუთხე საქართველოში; 16. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. ეკვადორის დედაქალაქი; 20. იაპონელთა ნაციონალური ტანსაცმელი; 21. ჩაის ფოთლის საგრეხი მანქანა; 22. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული ძალიან პატარა ჭრელი ჩიტი. 23. სათეატრო ცეკვის ხელოვნება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მახა; 2. რადიო; 3. შტამბი; 5. პონტო; 6. კვესტურა; 8. ბუნდესვერი; 10. სიმონია; 12. მაკბეტი; 14. იადონი; 15. კახიძე; 16. დრაჟე.

**თარაზულად:** 1. მუჯირი; 4. სპეტაკი; 7. მადერა; 9. ბატონი; 11. ანაკლია; 12. მთიულური; 13. ხოხობი; 17. სტამპა; 18. ლელა; 19. სტოქჰოლმი; 20. ჩიჩერონე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბედუინი; 2. მეუნარგია; 3. ხერთვისი; 4. პაუპერი; 5. ლოზანა; 9. ილიადა; 11. კონკური; 12. გიურზა; 14. სფინქსი; 18. ამური; 19. ჰობოი.

**თარაზულად:** 4. პობედა; 5. ლოველასი; 6. ჩელსი; 7. გურზუფი; 8. ანემია; 10. ეთიკა; 13. ნისანი; 16. საკი; 17. დილა; 20. ნიკორა; 21. დაბალი; 22. მარკესი; 23. ოვაცია.

## დღის კალენდარი

### 19 იანვარი



**წლის მე-19 დღე, ახალ წლამდე დარჩა 346 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

ნათლისღება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. დიდი აიაზმა.

ღვთის განცხადება ამ დღესასწაულს იმიტომ ეწოდა, რომ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ნათლისღების დროს ყოვლადწმიდა სამება მოევლინა ქვეყნიერებას. უძველესი დროიდანვე ეს დღესასწაული განათლების დღედ და ნათელთა ზეიმად იწოდებოდა, რამეთუ ღმერთი არის ნათელი და იმისთვის მოვიდა იგი, რომ განანათლოს ერი, იმისთვის, რომ თავისი დიდი მოწყალებით იხსნას დაცემული მოდგმა ადამიანისა.

უფლის ნათლისღების დღესასწაულით წმიდა ეკლესია განამტკიცებს ჩვენს რწმენას უზენაესი, გონებით მიუწვდომელი საიდუმლოსი ერთიანი ღმერთის სამპიროვნების შესახებ და გვასწავლის თანაბარი ღირსებით ვაღიარებდეთ და განვადიდებდეთ ერთარსება და განუყოფელ წმიდა სამებას.

**დაიბადნენ:**

1736 – ჯეიმს ვატი, შოტლანდიელი გამომგონებელი, ორთქლის ძრავის შემქმნელი. გარდაიცვალა 1819 წელს.

1747 – იოჰან ბოდე, გამოჩენილი გერმანელი ასტრონომი. გარდაიცვალა 1826 წელს.

1809 – ედგარ ალან პო, ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1849 წელს.

1839 – პოლ სეზანი, ცნობილი ფრანგი მხატვარი. გარდაიცვალა 1906 წელს.

1848 – ჰერმან კრეჩმარი, გერმანელი მუსიკათმცოდნე, დირიჟორი. გარდაიცვალა 1924 წელს.

1865 – ვალენტინ სეროვი, რუსი მხატვარი. გარდაიცვალა 1911 წელს.

1905 – არჩილ ჩხარტიშვილი, თეატრალური რეჟისორი. გარდაიცვალა 1980 წელს.

1910 – ნინო რამიშვილი, „ქართული ნაციონალური ბალეტის“ ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 2000 წელს.

1912 – ლეონიდ კანტოროვიჩი, რუსეთელი მათემატიკოსი და ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1986 წელს.

1920 – ხავიერ პერეს დე კუელიარი, პერუელი დიპლომატი, გაეროს გენერალური მდივანი 1981-1991 წლებში.

1927 – მაგალი თოდუა, აღმოსავლეთმცოდნე, მთარგმნელი, აკადემიკოსი.

1932 – ალექსანდრე ჩიკვაიძე, დიპლომატი. გარდაიცვალა 2011 წელს.

**გარდაიცვალნენ:**

1576 – ჰანს საქსი, გერმანელი პოეტი და კომპოზიტორი.

1865 – პიერ ჟოზეფ პრუდონი, ფრანგი ჟურნალისტი და ანარქიზმის თეორეტიკოსი.

1971 – ნიკოლაი რუბცოვი, პოეტი.

1990 – ალდო გუჩი, ცნობილი იტალიელი მოდელიერი.

**მოვლენები:**

1784 წელი – ყველაზე დიდი საჰაერო ბუშტი, რომელიც ძმებმა მონგოლფიებმა ააგეს, შვიდი მგზავრით ჰაერში აფრინდა.

1825 წელი – მოსკოვში „დიდი თეატრი“ გაიხსნა.

1853 წელი – რომში ჯუზეპე ვერდის ოპერის „ტრუბადურის“ პრემიერა გაიმართა.

1966 წელი – ინდირა განდი ინდოეთის პრემიერ-მინისტრი გახდა.

*მედიანიუსი*

## სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოება სამძიმარს უცხადებს ოთარ ჭითანავას ოჯახს მეუღლის ძმის, ღირსეული მამულიშვილის

**ნოდარ სოტკილავას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## სალომე კორკოტაშვილი საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობს



მომღერალი სალომე კორკოტაშვილი მუსიკალურ წრეებში სალიოს მეტსახელით არის ცნობილი და სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობს, სადაც წარმატებებსაც აღწევს.

ხელოვანი საკუთარ თავზე მუდმივად მუშაობს და სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში იღებს მონაწილეობას.

ამ ეტაპზე სალომემ მსოფლიოში აღიარებული მომღერლის ემი უაინჰაუსის ცნობილი ჰიტის თავისებური ვერსია ჩაწერა, ინტერნეტში გაავრცელა და მეგობრებს თხოვნით მიმართა:

– ჩემო მეგობრებო, გთხოვთ გაავრცელოთ ეს ვიდეო და იუთუბის გვერდზე ერთი კომენტარი ყველამ დაწერეთ ინგლისურად!!! ძალიან მჭირდება თქვენი მხარდაჭერა, რომ გავხდე ამ სუპერ კონკურსის გამარჯვებული.

სალომეს ვიდეოს ათასობით ნახვა, გაზიარება, მოწონება და დადებითი კომენტარები აქვს.

## „კომედი შოუს“ მსახიობს ოპერაცია ესაჭიროება




„კომედი შოუს“ მსახიობს გიორგი გოცირიძეს დახმარება ესაჭიროება. მას გაზაფხულზე მანქანა დაეჯახა და უმძიმესი დაზიანებები მიიღო. ჩატარებული რამდენიმე რთული ოპერაციის მიუხედავად, გიორგის სრული გამოჯანმრთელება ამ დრომდე ვერ მოხერხდა. ის ეტლში ზის და დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია.

როგორც მსახიობის და ანა გოცირიძე აცხადებს, გიორგის ორივე ფეხზე ძვლის ტვინის გადანერგვა ესაჭიროება. ამ ეტაპზე გიორგის თურქეთში კიდევ ერთი ოპერაცია უნდა ჩაუტარდეს, რომ ფეხზე წამოდგომა და სიარული შეძლოს.

საქართველოს ბანკში მსახიობის დასახმარებლად სპეციალური ანგარიში გაიხსნა, მაგთისა და ბილაინის აბონენტებს კი შეუძლიათ დარეკონ ნომერზე 0901 701 219. ზარის ღირებულება 1 ლარია.

## მანანა დუმბაძე დააჯილდოვეს



ნოდარ დუმბაძის შვილი, მწერალი მანანა დუმბაძე დააჯილდოვეს. შემოქმედი, რომელიც საქართველოდან ისრაელშია წასული, ქუთაისში სპეციალური ჯილდოს მფლობელი გახდა.

ქალაქის მერიამ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდმა მანანა დუმბაძე ლადო ასათიანის ლექსების სხვადასხვა ენაზე თარგმანის გამო გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღებისათვის დააჯილდოვა.

მანანა დუმბაძის მიერ თარგმნილი ლექსი დაიბეჭდება კრებულში, ხოლო ერთ-ერთმა თარგმნილმა ლექსმა პრემია დაიმსახურა. თანხა, დიპლომი და კრებული მანანა დუმბაძეს ქუთაისის მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ენა და კულტურა“ პროგრამის ფარგლებში გადაეცემა, რომელიც ქუთაისში ჩატარდება.

## შალვა გაწერელიას თეატრალურ უნივერსიტეტში გაიხსენებენ



19 იანვარს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს მუზეუმში გაიმართება შალვა – მუმუშა გაწერელიას ხსოვნის საღამო, რომელიც რეჟისორის და პედაგოგის დაბადების დღეს აღინიშნება.

ღონისძიებაზე გაიმართება 12 წუთიანი დოკუმენტური ფილმის „მუმუშა“ ჩვენება, რომლის რეჟისორიც ვაკო კირკიტაძეა. ასევე წარმოდგენილი იქნება თამარ ქუთათელაძის წიგნი „შალვა გაწერელიას თეატრი“, რომელიც უნივერსიტეტის გამომცემლობამ „კენტავრი“ გამოსცა.

საღამოს შალვა გაწერელიას მეგობრები, კოლეგები და სტუდენტები დაესწრებიან.

## ფოთში ნიკო ნიკოლაძის კოშკის რეაბილიტაცია დაიწყო

ფოთში ქართველი პუბლიცისტის და კრიტიკოსის ნიკო ნიკოლაძის კოშკის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

? ნიკო ნიკოლაძის კოშკი უძველეს ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს. ამ კოშკში ნიკო ნიკოლაძე მოღვაწეობდა, ცხოვრობდა და მასპინძლობდა ქალაქში ჩამოსულ სტუმრებს.

ძეგლის რეაბილიტაციის პროექტი მომზადდა სამი წლის წინ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ. ნიკო ნიკოლაძის კოშკის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, რესტავრაცია-რეკონსტრუქცია გასული წლის ზაფხულში დაიწყო და წლის ბოლოს დასრულდება.

პროექტი „ქართუ ჯგუფის“ ფინანსური დახმარებით ხორციელდება და მისი ღირებულება 470.000 ლარს შეადგენს.




*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## დინების მიერ გატაცებული სერფერი ნაპირიდან ექვს კილომეტრში იპოვეს



სატვირთო გემის ეკიპაჟმა გადაარჩინა სერფერი, რომელიც ავსტრალიის სანაპიროსთან დინებამ ღია ზღვაში გაიტაცა.

37 წლის იაპონელი ტურისტი დინებამ იმ დროს გაიტაცა, როდესაც ავსტრალიის ქალაქ ვულონგონგის მახლობლად სერფინგით იყო დაკავებული. მამაკაცი ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია დინებისთვის და ნაპირისკენ გაეცურა, მაგრამ ტალღები მეტისმეტად მაღალი იყო და ოკეანისკენ მიაქანებდა.

სერფერმა მთელი ღამე ზღვაში გაატარა, თავის სერფერზე ჩაჭიდებულმა. მეორე დღეს ის ნაპირიდან დაახლოებით ექვს კილომეტრში კონტეინერმზიდიდან შენიშნეს.

როდესაც იაპონელი ტურისტი გემს მიუახლოვდა, მას სამაშველო რგოლი გადაუგდეს, შემდეგ კი ხომალდზე აიყვანეს. ეკიპაჟის წევრებმა მას მშრალი ტანსაცმელი მისცეს და დააპურეს, შემდეგ კი ხელისუფლებას აცნობეს.

საერთო ჯამში, იაპონელმა წყალში 16 საათი გაატარა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

### ხუთშაბათი 19 იანვარი

**07.00** დოკ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "ნათლისღება" **14.00** "წიგნების თარო" **14.30** "ფერმა" **15.00, 02.35** "X სტუდია" **16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00, 03.35** "რეალური სივრცე" **19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** ქართ. მხ/ფ "**სამი ამბავი ტელეფონით**" **22.30** "ვექტორი" **23.00** ტ/სერ "**მთავრობა**" **00.00** "უცნობი მუსიკა" **01.30** მხ/ფ "**მოტყუებული**" (კ.ისტვუდი) **04.35** დოკ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები"

**08.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.50** დ/ფ "სამყარო" **09.45** "გეოფაქტორი" **10.00** "ნათლისღება" **13.40** ხალხური სიმღერის ანსამბლი "ბასიანი" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "სამყარო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" (პ/ე) **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის სიდუმლოებანი**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**ტროპიკული გრიგალი**" **02.15** მხ/ფ "**ზარი**" **04.15** მხ/ფ "**კლასელები იტალიურად**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **22.00** პროფილი **00.00** სერ. "**დროში დაკარგული**" მხ/ფ მხ/ფ კურიერის დაიჯესტი მხ/ფ

**08.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30** მხ/ფ "**სახლი მოჩვენებებით**" **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** 18| **01.00** მხ/ფ "**წვეულება ვეგასში 1**" **02.55** მხ/ფ "**წვეულება ვეგასში 2**" **04.45** მხ/ფ "**წვეულება ვეგასში 3**"

**06.15** საუფლონი "ნათლისღება-განცხადება უფლისა" **06.40** პატერიკი-"ღვთის განგებულება ადამიანის ცხოვრებაზე" **06.45** დ/ფ "პატრიარქის მოგზაურობა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიაში" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**სინემა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "სპილენძი" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართ. ან/ფ **15.30** ტრაპეზი "აჭარული ხაჭაპური" **15.50** კონცერტი **16.45** საუფლონი "ნათლისღება-ბეთაბრა" **17.00** ქრისტიანული ხელოვნება "თანამედროვე ქართული საეკლესიო მშენებლობა" **17.35** ჩვენი ფონდი "ეკა გადევანიშვილი-ნათლისღების იკონოგრაფია" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "მენელსაცხებლე დედები" **20.40** პორტრეტები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.30** საუფლონი "ნათლისღება-განცხადება უფლისა" **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** ქრისტიანული სწავლება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** დეკორატიული ფლორა **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **9.00** სერ. "**ქალბატონი**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** "სიყვარულის იმპერია" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 15.30, 3.00** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი თუ შელებ**" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.40** სერ. "**უცხო**" **1.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 იანვრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6543 |
| ევრო | 2.8335 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2271 |
| 100 რუსული რუბლი | 4.4828 |

## ამინდის პროგნოზი

19 იანვრისთვის








## 20 იანვრიდან

# დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

## 17 იანვრიდან

რევაზ მიშველაძე

# ციყვი ბორბალში




რევაზ მიშველაძის ამ ახალ რომანში აღწერილია სააკაშვილის ათწლეულის საქართველოს ცხოვრება და ნაწარმოების ცენტრშიც, ბუნებრივია, თვით მიხეილ სააკაშვილი დგას. ნაჩვენებია, თუ როგორ კამათლებივით აგორავებდა თავგასული ხელისუფალი უბრალო მოქალაქის ბედს.

რომანი წარდგენილია ნობელის პრემიაზე.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## 24 იანვრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები



ჯეინ ოსტინი

# გონება და გრძნობა

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


# „შენ შეგიძლია ცეკვა“ ნიტა ლომიძემ მოიგო



პროექტის „შენ შეგიძლია ცეკვა“ პირველი სეზონი მისმა ყველაზე პატარა მონაწილემ ნიტა ლომიძემ მოიგო. ტელეწამყვან ნიკა ლომიძის და ქორეოგრაფ თეა გობეჯიშვილის შვილმა ფინალში მაყურებლისგან ყველაზე მეტი ხმა მიიღო და 45 პროცენტით შოუს გამარჯვებული გახდა.

ნიტა ლომიძეს საჩუქრად გადაეცა ბინა ემ კვადრატისგან და 1000 ლარიანი ვაუჩერი. ფინალში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ თეონა წიწაკიშვილი, თენგო ზარდიაშვილი და ირაკლი ფიფია. მეორე ადგილზე ირაკლი ფიფია გავიდა 43 პროცენტით, მესამე ადგილი თენგო ზარდიაშვილმა დაიკავა 10 პროცენტით, ხოლო მეოთხე ადგილი 2 პროცენტით თეონა წიწაკიშვილს ერგო.

ყველა ფინალისტს შოუს პარტნიორმა კომპანიებმა საჩუქრები გადასცეს. მეორეადგილოსანმა ირაკლი ფიფიამ საჩუქრად ახალთახალი ავტომობილი მიიღო, თენგო ზარდიაშვილმა 5.000 ლარიანი ვაუჩერი ვივუსჯისგან, წისქვილი ჯგუფისგან 1.000 ლარიანი ვაუჩერი და ორკაციანი საგზური ეგვიპტეში, თეონა წიწაკიშვილი კი ნატალის რჩეულად დასახელდა და დუბაის საგზურით დასაჩუქრდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ქმარი საათივითაა.

– პუნქტუალურია?

– არა, უბრალოდ, ღამით ხვრინვის მექანიზმი ერთვება.

•••

ექიმთან გეი მივიდა და ეუბნება:

– ექიმო, ჩემ პარტნიორს შიდსი აღმოაჩნდა და ვშიშობ, რომ მეც ავად ვარ.

– ანალიზები ჩააბარეთ და ვნახოთ.

ორი დღის შემდეგ მივიდა ანალიზების პასუხებზე. ექიმი ეუბნება:

– სამწუხაროდ, შიდსი გაქვთ, მაგრამ დაწყებითი სტადიაა და ერთი ხალხური საშუალება არსებობს, 100-პროცენტიანი საშუალებაა. უეჭველად გიშველით.

– მითხარით, ექიმო და ყველაფერს გავაკეთებ.

– ასეე. აიღეთ სამი ლიტრი რძე, შიგნით ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი კიტრის მწნილი, კომბოსტო, ქაშაყი, ეს ნარევი ორი დღე გააჩერეთ და შემდეგ ერთი ამოსუნთქვით დალიეთ.

– დიდი მადლობა, ექიმო, თქვენ გადამარჩინეთ.

მისი წასვლის შემდეგ ექთანი ექიმს ეკითხება:

– კი მაგრამ, ეს ყველაფერი რატომ მოიგონეთ, მისი ანალიზები ხომ სუფთაა, არაფერი ჭირს?

– არა უშავს. რაღაც დროს ტუალეტში გაატარებს და ეს დააფიქრებს იმაზე, სინამდვილეში რა დანიშნულებისაა მისი უკანალი.

•••

ერთი მეგობარი მეორეს შესჩივის:

– ჩემი ცოლი ჩემ ლაპარაკს საერთოდ არ უგდებს ყურს.

– ძილში დაიწყე ლაპარაკი და შენი ერთი სიტყვაც კი არ გამოეპარება.

•••

შინაბერა გაოცებული დგას ეკლესიაში, ხალხს ათვალიერებს და ბოლოს ჩაილაპარაკებს:

– ღმერთო, რამდენი კაცი დადის და ერთი ცალი ჩემთვის რატომ არ გემეტება?!

•••

ხალხით სავსე ავტობუსმა მოულოდნელად დაამუხრუჭა. ახალგაზრდა გოგომ თავი ვეღარ შეიმაგრა და ასაკოვან მამაკაცს ჩაუჯდა კალთაში.

– ოჰო ჰოოო, – წამოიძახა გოგონამ.

– ესა, შვილო, ოჰოჰო კი არა, ბოსლის გასაღებია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.






## 12 იანვრიდან

# კულინარია ჰობად

ამ წიგნში მოცემულია როგორც კარგად ცნობილი, ასევე უცნობი რეცეპტები, რომელთა მომზადებასაც სახლის პირობებში თითოეული თქვენგანი ძალიან მარტივად შეძლებს.

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი


# დიეგო კოსტამ ვარჯიში განაახლა




ჩელსის ესპანელი ფორვარდი დიეგო კოსტა ისევ გუნდთან ერთად ვარჯიშობს. შეგახსენებთ, რომ კოსტას ჩელსის მწვრთნელთან ანტონიო კონტესთან კონფლიქტი მოუვიდა, რის გამოც მან რამდენიმე ვარჯიში და ლესტერთან თამაში გამოტოვა. კონფლიქტის მიზეზი კი ჩინური გუნდის შეთავაზება იყო, რომლის გამოც თითქოს კოსტამ ჩელსიდან წასვლა გადაწყვიტა.

როგორც ჩანს, კონტემ და დიეგო კოსტამ არსებული უთანხმოება მოაგვარეს და ფეხბურთელი ისევ ჩვეულ რეჟიმში ვარჯიშობს.

შემდეგ შეხვედრას ჩელსი საკუთარ მოედანზე ჰალ სიტის წინააღმდეგ გამართავს და ყველასთვის საინტერესოა, იქნება თუ არა ამ მატჩში კოსტა მოედანზე.

# ენდი მარეიმ ავსტრალიის ღია პირველობაზე მეორე შეხვედრა მოიგო



მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ბრიტანელმა ენდი მარეიმ ავსტრალიის ღია პირველობაზე კიდევ ერთი შეხვედრა მოიგო და მესამე წრეში გავიდა. მარეიმ რუსი ანდრეი რუბლოვი ადვილად სამ სეტში დაამარცხა.

შემდეგ შეხვედრას ენდი ამერიკელ ჩოგბურთელ სემ კუერისთან ჩაატარებს.

მარეის თქმით, ეს რთული თამაში იქნება. სემ კუერი ცნობილი ჩოგბურთელია, რომელსაც ძლიერ ჩაწოდება და ფორჰენდი აქვს.

2016 წლის უიმბლდონზე კუერიმ ნოვაკ ჯოკოვიჩი დაამარცხა, რომელიც მაშინ მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო.

მარეი კუერისთან პარასკევს ითამაშებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მცირე ამპლიტუდის რხევები; 2. ლონდონის „ჩელსის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 3. საცხოვრებელი სათავსო სახლის სხვენზე; 4. ისრაელის დაზვერვა; 7. სრული მარცხი; 9. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 12. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 14. სოციოლოგიური კვლევის ამერიკული ცენტრი; 15. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 17. რაიონი ნიუ-იორკში; 20. სახალხო მთქმელი შუა აზიაში.

**თარაზულად:** 5. სხვადასხვა სახეობის ორი ორგანიზმის თანაცხოვრება; 6. ბოსტნეული მცენარე; 8. ბეისბოლის მოთამაშის ერთ-ერთი ამპლუა; 10. სპორტის სათამაშო სახეობა; 11. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 13. ისტორიული ჩანაწერები, რომლებსაც აწარმოებდნენ მემატიანეები, ჟამთაღმწერლები; 16. პოპულარული ფრანგული ლიქიორი; 18. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 19. გერმანული მოდების ჟურნალი; 21. მაკედონიის დედაქალაქი; 22. კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონი; 23. ჟორჟ ბიზეს ოპერა.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

